

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბი  
J7 სამხედრო განათლებისა და საბრძოლო მომზადების  
დეპარტამენტი

სსიპ ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და  
ეთნოლოგიის ინსტიტუტი

გიორგი საითიძე

ბენერალი კოტე აფხაზი –  
ქართული მხედრობის ღირსეული  
წარმომადგენელი

მეომრის ბიბლიოთეკა №4

თბილისი  
2008

თქვენს წინაშეა ახალი სერიის „მეომრის ბიბლიოთეკის“ მეოთხე წიგნი; სერია ითვალისწინებს წიგნების მთელ წყებას, რომლებშიც პოპულარულად იქნება გადმოცემული საქართველოსა და მსოფლიო ისტორიის ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანი მოვლენები.

სერიის მიზანია ქართველი მეომრის და იმედია, არა მარტო მისი, პატრიოტული აღზრდა და ცოდნის მიწოდება მისაღებ ფორმებში. სერიაში გათვალისწინებულია პოპულარული, მაგრამ მაღალ პროფესიონალურ დონეზე დაწერილი სახელმძღვანელოები; ეს პატარა, მაგრამ ტევადი და კარგად გაფორმებული ბროშურები მიეძღვნება ქართველთა უდიდეს მეფე დავითს, თამარს, გიორგი ბრწყინვალეს, ბაგრატ III-ს, საქართველოში წარმოებულ მთავარ და გადამწყვეტ ბრძოლებს, XIX–XX სს-ის გამოჩენილ ქართველ ოფიცრებს, საქართველოსა და მსოფლიო სამხედრო ისტორიის ცალკეულ საკითხებსა და ა.შ.

სერიის გამოცემის ინიციატორები არიან ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი და საქართველოს თავდაცვის სამინისტრო.

დიდი სურვილი და იმედი გვაქვს, რომ მეომართა და ოფიცერთა გარდა, საქართველოს ყოველი მოქალაქე სიამოვნებით მიიღებს ამ სერიის ყოველ ახალ წიგნს.

სერიის გარეკანზე მოთავსებული წარწერა და დიდი დავითი ყველას შეახსენებს, რომ ბრძოლა საქართველოსთვის დღესაც გრძელდება.

ვაჟა კიკნაძე

სერიის სარედაქციო კოლეგია: ისტორიის მეცნიერებათა  
ლოქტორი, პროფესორი **ვაჟა კიკნაძე**

ისტორიის მეცნიერებათა  
ლოქტორი, პროფესორი **თამაზ ბერაძე**

მეცნიერებათა ლოქტორი,  
ვიცე პოლკოვნიკი **თემურ დალაქიშვილი**

რეცენზენტი: ისტორიის მეცნიერებათა  
ლოქტორი, პროფესორი **შოთა ვადაჭკორია**

კომპიუტერული უზრუნველყოფა: **ლელია ხურცია**  
ყდის დიზაინი: **გიორგი კიკნაძე**

რედაქტორი: **ნარგიზ ხარაბაძე**  
ტექნიკური რედაქტორი: **მარი ჭონიშვილი**

დამტკიცებული და სამოქმედოდ შემოღებულია საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის J7 სამხედრო განათლებისა და საბრძოლო დეპარტამენტის უფროსის – პოლკოვნიკ ნოდარ ქვილითაიას მიერ

საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის  
ტოპოგრაფიული სამმართველოს სტამბა. 2008 წ.

ქ. თბილისი, გენერალ კვინიტაძის ქ. №20

ტელ.: +995 32 91-19-83

ფაქსი: +995 32 91-19-83



კოტე აფხაზი  
1867-1923

კონსტანტინე აფხაზი დიდი ილიას დისწული იყო. ისტორიაში დასარჩენად მას ესეც ეყოფოდა, მაგრამ გამორჩეულ გვარიშვილსა და განათლებულ პიროვნებას გენიოსი ბიძის სახელით ბოროტად არასოდეს უსარგებლია... მას, როგორც რუსეთის არმიის მამაც ოფიცერს, თავისი სამშობლოს ჭირ-ვარამის ახალგაზრდობიდანვე გამზიარებელს, კარგად იცნობდა თავისი დროის ქართველი საზოგადოება. ის ფაქტი, რომ კ. აფხაზი ახალგაზრდა კაცი, აღმოსავლეთ საქართველოს თავადაზნაურთა წინამძღოლად, ხოლო მოგვიანებით რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრად აირჩიეს, მისი მაღალი ავტორიტეტის დასტურად გამოდგება... იგი წლების განმავლობაში თავმჯდომარეობდა სხვადასხვა ეროვნულ საზოგადოებებისა და კომისიების საქმიანობას. როგორც მამაცმა ოფიცერმა სახელი გაითქვა პირველი მსოფლიო ომის ფრონტებზე. კმაყოფილებით შეხვდა რუსეთის თვითმპყრობელობის დამხობას... იყო საქართველოს I ეროვნული ყრილობის მოწვევის ინიციატორი, რომელზეც ქართლ-კახეთის თავადაზნაურობის მთელი კოლექტიური ქონება ნობათად მიართვა ქართველ ერს. აქტიურად მონაწილეობდა თბილისის უნივერსიტეტის დაარსებაში... მისი თანავტორობით შემუშავებულ იქნა „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“... არჩეული იყო საქართველოს ეროვნული საბჭოსა და პარლამენტის წევრად. საბჭოთა რუსეთის მიერ დემოკრატიული საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ემიგრაციაში არ წავიდა, სამშობლოში დარჩა და ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას ჩაუდგა სათავეში. ჩეკისტთა მიერ გამოტანილი განაჩენით დაიხვრიტა, მაგრამ „მოკვდა ვაჟკაცურის სიკვდილით“...

ყოველი თაობის ვაღია ღირსეული პატივი მიაგოს სახელოვანი წინაპრების სახელებს, ღრმად გააცნობიეროს მათი ნაშრომ-ნაღვაწი, რათა იგი შემდგომ ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების წინ წასაწევად გამოიყენოს. წინა თაობის მიერ მომავალი თაობისათვის ხიდის ფუნქციის შესრულების მოვალეობის შესახებ დიდი რუსთველიც ბრძანებდა: „წინა კაცი უკანასი, ხილიაო,“ ხოლო ილიას აზრით, ამის გათვალისწინების გარეშე, ვერ გავაცნობიერებთ, თუ „საიღამ მოვდივართ და საით მივდივართ“...

გამორჩენილ მამაულიშვილთა შორის, რომლის პიროვნება მაგალითად შეიძლება დავუსახოთ მომავალ თაობებს, გენერალი კონსტანტინე ნიკოლოზის ძე აფხაზიც მიგვაჩნია. მან მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება სამშობლოს უკეთეს მერმისზე ფიქრსა და ბრძოლაში გაატარა და საბოლოოდ ზვარაკად შეეწირა მას. კომუნისტური რეჟიმის სისასტიკის გამო, საქართველოს საზოგადოების ძალზე მცირე ნაწილს თუ მოეხსენებოდა იმ ღვაწლის შესახებ, რომელიც კ. აფხაზს მიუძღოდა ერისა და ქვეყნის წინაშე. იგი აქტიურად მონაწილეობდა ისეთი ქართული ეროვნული ინსტიტუტების საქმიანობაში, როგორებიც იყო: ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, საადგილმამულო ბანკი, ქართული თეატრი, თბილისის უნივერსიტეტის დაარსების საქმე, კახეთის რკინიგზის მშენებლობის დასრულება... კ. აფხაზს თვალსაჩინო წვლილი აქვს შეტანილი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის, საქართველოს I ეროვნული ყრილობის მოწვევის, დემოკრატიული რესპუბლიკის მშენებლობის, მისი სახელმწიფოებრივი

მოწყობის, საკანონმდებლო ბაზის განმტკიცების, საქართველოს გაერთიანებული დემოკრატიული პარტიის შექმნის საქმეში. საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, 1921-1923 წლებში, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მეთაურია. ბოლო ხანამდე თითქმის უცნობი იყო ისიც, თუ როგორ დააპატიმრეს „ჩეკას“<sup>\*</sup> მიერ მიჩენილი აგენტისაგან გაცემული „სამხედრო ცენტრის“ წევრები, – კ. აფხაზი და მისი თანამებრძოლები და რა არაადამიანური წამებით ამოხადეს სული...

მომავალი თაობებისათვის მუდამ ზნეობრივ გაკვეთილად გამოდგება ჯალათების წინაშე კ. აფხაზის უკანასკნელი მოქმედება, რომელთაც ამაყად განუცხადათ: „მშვიდად ვტოვებ ამ ქვეყანას, რადგან მწამს სამშობლოს აღორძინება“-ო.

### X X X

დასაწყისშივე ორიოდ სიტყვით შევჩერდები აფხაზთა გვარის წარმომავლობისა და მათი კახეთში დამკვიდრების თაობაზე. ის ცნობა, რომელიც მე ამ საკითხთან დაკავშირებით ხელთა მაქვს, უცილობლად მიმაჩნია, ვინაიდან ილიას „ივერიის“ ფურცლებზეა დაბეჭდილი და ვის, თუ არა ილიას, კარგად ეცოდინებოდა თავისი სიძის, უფროსი დის, – ნინოს მეუღლის, წარმომავლობის ისტორია.

კახეთში დამკვიდრებულ თავად აფხაზთა წინაპარი აფხაზეთის სამთავრო სახლის – შერვაშიძეთა ერთ-ერთი წარმომადგენელი ყოფილა. ერთი საუკუნის წინათ გაზეთ „ივერიის“ ფურცლებზე დასტამბულ მცირე ზომის მასალაში ნათქვამია: „XVII საუკუნის დამდეგს აფხაზეთი აიკლეს და დაიმორჩილეს ოსმალებმა, რომელთა წყალობითაც ბატონობა დაიწყო სამეგრელოს დადიანებმა. ამისათვის ერთი წარმომადგენელი შერვაშიძის საგვარეულოსი გადმოვიდა კახეთში და მეფისაგან მიეზოდა ერთ-ერთის ამოწყვეტილის ვაჩნაძის მამული ს. კარდენახში. ამის გამო ამ დროიდანვე ჰსუფევდა დაუძინებელი მტრობა აფხაზთა და ვაჩნაძეებს შორის“.

ეს მომხდარა თეიმურაზ მეორის მეფობის დროს. ადგილობრივი მოსახლეობა მათ აფხაზებად იხსენიებდა. საიდანაც შემდგომში წარმომდგარა ეს გვარი... აღსანიშნავია ისიც, რომ ამ გვარის გავრცელების არეალი სოფელ კარდენახს არ გასცილებია.

საქართველოს ისტორიაში აფხაზთა გვარის არა-ერთი სახელოვანი წარმომადგენელი მოიხსენიება. მათ შორის არიან: საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწენი, სამხედროები, მწერლები, ხელოვანები, ლიტერატორები და ა. შ. აღსანიშნავია, რომ კახელ თავადაზნაურთა სიაში მათ IX ადგილი უჭირავთ, მაშინ, როცა ჭავჭავაძენი XII ადგილზე არიან დაფიქსირებულნი.

აფხაზები განსაკუთრებული ერთგულებით ემსახურებოდნენ სამეფო კარს. ისტორიულ საბუთებში მათი პირუმტკიცობა არსადაა ნახსენები...

აი, ამ სახელოვანნი საგვარეულოსა და გამორჩეული ოჯახის რძალი გამხდარა ილია ჭავჭავაძის უფროსი და ნინო. ერთ-ერთ საარქივო დოკუმენტში

ნათქვამია, რომ 1867 წლის 25 სექტემბერს, სოფ. კარდენახში, ცნობილი კახელი თავადიშვილის ნიკოლოზ აფხაზისა და ნინო გრიგოლის ასულ ჭავჭავაძის ოჯახში დაიბადა ვაჟი, რომელსაც კონსტანტინე (კოტე) დაარქვესო. კოტეს გარდა მათ კიდევ სამი შვილი ყავდათ: გიგო, სიმონი და მაკო. იმავე საარქივო დოკუმენტში ხაზგასმითაა მითითებული, რომ კ. აფხაზი „შთამომავლობით ქართველი თავადების წარმომადგენელი იყო თბილისის გუბერნიიდან“.

### X X X

კ. აფხაზმა პირველდაწყებითი განათლება ოჯახში მიიღო, ხოლო 1886 წლის 1 სექტემბრიდან თბილისის კადეტთა კორპუსის იუნკერია. 19 წლის ჭაბუკი კი პეტერბურგს მიემგზავრება და კონსტანტინეს სამხედრო სასწავლებელში საარტილერიო საქმეს ეუფლება. აქ მან „ბრწყინვალე ნიჭი გამოავლინა“, რაც იმით აღინიშნა, რომ 1887 წლის მაისში მას უნტერ-ოფიცრის ჩინი უბოძეს და რამდენიმე თვის შემდეგ ყაწიმიანი იუნკერების უფროსად დააწინაურეს. აღნიშნული სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, 1888 წლის 9 აგვისტოს კ. აფხაზს პოდპორუჩიკის წოდება მიანიჭეს და ფეხოსანთა არტილერიის 39-ე საველე ბრიგადაში გაამწესეს. ერთი წლის შემდეგ კი იქვე სასწავლო რაზმის უფროსად დანიშნეს. 1891 წლის 25 დეკემბერს იგი კავკასიის არტილერიის მთავარი სამმართველოს გრენადერთა ბრიგადაში გადაიყვანეს. 1895 წლის მაისში სამსახურებრივი თავგამოჩენისათვის კ. აფხაზი შტაბს-კაპიტნის წოდებას ღებულობს, ხოლო 1896 წლიდან იგი დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის სახელობის კავკასიის არტილერიის გრენადრეთა ბრიგადის მესამე ბატარეის უფროსად გადაჰყავთ. 1901 წლის აგვისტოში კაპიტნის წოდებას ანიჭებენ და მომდევნო ხუთი წლის მანძილზე ზემოთ ხსენებულ გრენადერთა ბრიგადის მესამე და მეოთხე ბატარეების უფროსია. 1908 წლის თებერვალში კ. აფხაზს პოდპოლკოვნიკის წოდება უბოძეს და იმავე ბრიგადის მეშვიდე ბატარეის უფროსად დანიშნეს. აღსანიშნავია, რომ 1892-1913 წლებში კ. აფხაზს, როგორც პატიოსან და სამართლიან პიროვნებას, სისტემატურად ირჩევდნენ ოფიცერთა ღირსების სასამართლოს წევრად.

1911 წლის დეკემბერში კ. აფხაზი თავის ბატარეასთან ერთად გაგზავნილი იყო სპარსეთში, თავრიზის საბრძოლო რაზმის შემადგენლობაში, სადაც რამდენიმე თვე დაჰყო.

### X X X

1913 წლის 13 იანვარს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საგანგებო კრება იყო დანიშნული, რომელსაც თავისი ახალი წინამძღოლი, ანუ მარშალი უნდა აერჩია. ქართული თეატრის დარბაზში გამართულ ამ თავყრილობაში 290-მდე კაცი მონაწილეობდა. წინასაარჩევნო ვითარება საკმაოდ დაძაბული იყო, ვინაიდან ქართლ-კახეთის არისტოკრატიის დიდი ნაწილი უკმაყოფილო იყო

თავიანთი მოქმედი წინამძღოლის, თავად გ. ა. ბაგრატიონ-დავითაშვილის საქმიანობით...

ქართლ-კახეთის, შემდგომში თბილისის გუბერნიის, თავადაზნაურთა მარშლის ინსტიტუტი შემოღებულ იქნა 1802 წლის 8 მაისს, იმპერატორ ალექსანდრე I-ის დროს. მარშლებს, როგორც თავიანთი წოდების წინამძღოლებს, თვალყური უნდა ედევნებინათ გუბერნიის თავადაზნაურთა მოქმედებისათვის და დაუყოვნებლივ აღეკვეთათ მათ შორის წარმოშობილი უთანხმოებები. ეზრუნათ სიმშვიდის, კეთილმეგობრული ურთიერთობის დამკვიდრებისათვის, საქველმოქმედო საქმიანობაში მათი ჩაბმისათვის და სხვა.

იმ დროს შემუშავებული ამ წესებითა და შემდგომში მასში ოდნავი ცვლილებების შეტანით, მთელი 110 წლის მანძილზე ხდებოდა საქართველოში, (ანუ რუსული ადმინისტრაციული დაყოფით – თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში) თავადაზნაურთა მარშლების არჩევა. ამ წლების მანძილზე აღმოსავლეთ საქართველოს თავადაზნაურთა მარშლის პოსტი 14 პიროვნებას ეკავა; მათგან ბოლო, მე-14 კონსტანტინე აფხაზი გახლდათ.

კ. აფხაზისათვის, ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცისათვის, რომელსაც სამხედრო ასპარეზზე მორიგი წარმატებების დიდი პერსპექტივები ჰქონდა, იოლი არ იყო ამ გადაწყვეტილების მიღება, მაგრამ საერო ინტერესებიდან გამომდინარე, ბოლო მომენტში თანხმობა განაცხადა კენჭი ეყარა ამ თანამდებობაზე. საქმე იმაში იყო, რომ არჩევნების მოახლოების წინ თავადაზნაურობა ორ ბანაკად იყო გაყოფილი. ერთ მხარეს იდგნენ მოქმედი მარშლის, – თავად გ. ბაგრატიონ-დავითაშვილის მხარდამჭერნი, ხოლო მეორე მხარეს – მისი საქმიანობით უკმაყოფილონი...

იმდროინდელი პრესის ფურცლებზე რელიეფურად არის ასახული დაუნდობელი ჯგუფობრივი ბრძოლის პერიპეტეები. ქუთაისში გამოძავალი გაზეთი „იმერეთი“ ამასთან დაკავშირებით აღნიშნავდა: „თავადი აფხაზი ერთი იმ იშვიათ კანდიდატთაგანია, რომელიც თვითონ კი არავის ეჩხირებოდა ადგილისათვის, არამედ დიდის თხოვნისა და დარწმუნების შემდეგ დასთანხმდა მისთვის საძნელო მსხვერპლზე. ესეც რიგიანობის ერთი მაგალითია“.

თავადაზნაურთა დაჟინებული თხოვნის შემდეგ კ. აფხაზი დათანხმდა კენჭისყრაზე და უდიდესი უპირატესობით გაიმარჯვა კიდევ. 235 მომხრე და 47 წინააღმდეგი, – ასეთი იყო კენჭისყრის შედეგები. საგანგებო კრების მონაწილენი ტამისცემით შეეგებნენ თავიანთ ახალ წინამძღოლს.

კრების დასასრულს მოკლე სიტყვა წარმოთქვა კ. აფხაზმა, რომელმაც მაღლობა მოახსენა თავადაზნაურობას მისთვის ესოდენ დიდი ნდობის აღმოჩენისთვის და იმედი გამოთქვა, რომ შეძლებდნენ კოლექტიური სულისკვეთებით საქმიანობის წარმართვას.

იმ ხანებში ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების ორგანო ჟურნალი „კლდე“ აქვეყნებდა თავადაზნაურობის ახლადარჩეული წინამძღოლის ფოტოსურათს და მოკლე ბიოგრაფიულ ცნობას, რომელშიც ნათქვამი იყო: „ქართლ-კახეთის მარშლად არჩეული თავადი კ. ნ. აფხაზი ჯერ კიდევ

ახალგაზრდა კაცია, სულ 42 წლისაა (სინამდვილეში იგი იმ ხანად 46 წლისა იყო – გ. ს.) სოფ. კარდენახის მემამულე.

თავადი კ. აფხაზი დისწულია განსვენებულ დიდებულ ილია ჭავჭავაძისა...

თავადი აფხაზი, როგორც გაგვიგონია, კარგად არის ჩახედული ქართულ საქმეებში. სხვათაშორის დიდი ხანია რაც მოღვაწეობდა თბილისის სათავადაზნაურო ბანკის ზედამხედველობის კომიტეტში, იღებდა მონაწილეობას სხვა ქართულ საქმეებში, ყველაფერში კარგად გამოცდილია და არც გაუჭირდება ჩვენი აწეწილ-დაწეწილი საზოგადო საქმეების მოვლა და გამოსწორება. ძნელი დრო ხვდა წილად ახალ მარშალს... ის დრო, როცა წინანდელი მარშლები „ბალებითა და ვეჩერებით“ გართულნი იყვნენ, წარსულმა შთანთქა... დღევანდელი ხანა მოქმედებისა და ჯაფა-შრომის დროა... და თუ მივიღებთ მხედველობაში ეროვნულ მისიას ქართულ თავადაზნაურობისას სამშობლო ქვეყნის კულტურულ-ეკონომიურ აღორძინებაში, ეს შრომაც და ჯაფაც ორკეცდება. მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ ახალი მარშალი ამას არ შეუშინდება, მითუმეტეს, რომ იგი ახალგაზრდაა. სულითა და გულით ქართველი და შრომისმოყვარეა“.

არჩევის პირველი დღეებიდანვე მისი საქმიანობა იქითკენ იყო მიმართული, რომ რაც შეიძლება მეტი სიკეთე მოეტანა თავისი ტანჯული სამშობლოსათვის. ამისათვის ის მოხერხებულად იყენებდა თავის პირად ავტორიტეტსა და საზოგადოებრივ მდგომარეობას.

არჩევიდან სულ მალე კ. აფხაზი თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის სახელით რომანოვების სამეფო სახლის 300-წლოვან იუბილეში მონაწილეობის მისაღებად პეტრებურგს მიემგზავრება.

მარშლად არჩევასთან დაკავშირებით, კ. აფხაზი იძულებული იყო თავი დაენებებინა თბილისის საადგილმამულო ბანკის საზედამხედველო კომიტეტში მუშაობისათვის.

1913 წლის 12 მაისს თბილისში მუშაობა დაიწყო ქართლ-კახეთის თავადაზნაურობის საგანგებო კრებამ, რომელსაც 150-ზე მეტი ცენზიანი წარმომადგენელი ესწრებოდა. კრებისადმი ინტერესი იმითაც იყო განპირობებული, რომ მას პირველად უძღვებოდა პეტრებურგიდან ახლადდაბრუნებული და ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლების მიერ დამტკიცებული ახალი მარშალი. სხდომის განსნისას კ. აფხაზი მიესალმა შეკრებილთ, რომლებმაც ფეხზე წამოდგომითა და თავის დახრით უპასუხეს. სანამ დღის წესრიგში მდგარი საკითხების განხილვას შეუდგებოდნენ კ. აფხაზმა „განსაკუთრებული თბილი სიტყვებით დაახასიათა ცოტა ხნის წინათ გარდაცვლილი მომხიბლელი პიროვნება თავადი არჩილ ჯორჯაძე“ - „ვალდებული ვარ კრების მონაწილეებს შეგახსენოთ ის სამწუხარო მოვლენები, რომლებიც ჩვენმა საზოგადოებამ განიცადა მიმდინარე წელს. გარდაიცვალა თავადი არჩილ ჯორჯაძე. ჩვენი ცხოვრების ნაცრისფერ ფონზე ის იხატებოდა მთლიან, ორიგინალურ, გმირულ პიროვნებად. მისი დამსახურება არა მხოლოდ იმაშია, რომ მშვენიერი პუბლიცისტური ნაშრომები დაგვიტოვა, არამედ იმაში, რომ მან გვაჩვენა, თუ როგორ უნდა გაისარჯო... მან შექმნა საოცარი



მონოგრაფია დაუვიწყარ დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანზე. საზოგადოებრივი ცხოვრების გამოკვლევის ამ შედეგში, მან არა მხოლოდ გამოჩენილი პიროვნების დ. ი. ყიფიანის ცხოვრება აღწერა, არამედ მთელი ეპოქა, რომელშიაც ამ უკანასკნელს ცხოვრება უხდებოდა“.

კ. აფხაზის თხოვნით ასევე პატივი მიაგეს ივანე ჯაბადარის ხსოვნასაც, შემდეგ კი დღის წესრიგის ძირითადი საკითხის, – კახეთის რკინიგზის მშენებლობის არსებით განხილვას შეუდგნენ.

ასე იწყება ახალი ეტაპი კ. აფხაზის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, რომელიც მხოლოდ რამდენიმე წელი გაგრძელდა და ურთულესი მოვლენებით აღინიშნა არა მარტო მისი სამშობლოს, არამედ მთელი მსოფლიოს ქვეყნებისა და ხალხების ისტორიაშიც.

## X X X

თავადაზნაურთა წინამძღოლთა თანამდებობაზე არჩევის პირველი დღეებიდანვე კ. აფხაზის საქმიანობის უპირველეს მიმართულებად იმ ხანად მიმდინარე კახეთის რკინიგზის მშენებლობის საკითხი იქცა. საქმე ის იყო, რომ ამ უმნიშვნელოვანესი სატრანსპორტო მაგისტრალის ძირითადი დამფინანსებელი ქართლ-კახეთის თავადაზნაურობა და მისივე საადგილმამულო ბანკი გახლდათ.

იმხანად კახეთის რკინიგზის მშენებლობაზე მძიმე ვითარება იყო შექმნილი. ბრძოლა მიმდინარეობდა სარკინიგზო ხაზის სიღნაღი-ბაქოს მიმართულებით გასაგრძელებლად... ერთი შეხედვით აქ საშიში თითქოს არაფერი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ასეთი პერსპექტივა „კახეთის რკინიგზის საზოგადოების“ დამოუკიდებელ არსებობას სპობდა და ქართლ-კახეთის თავადაზნაურობას უძვირფასეს საკუთრებას აკარგვინებდა.

მთელი ხუთი წლის მანძილზე, რაც კ. აფხაზი ქართლ-კახეთის თავადაზნაურობას თავკაცობდა, არ გამართულა ამ საზოგადოების საკრებულოს სხდომა თუ საგანგებო კრება, რომლის დღის წესრიგში რაიმე კუთხით კახეთის რკინიგზასთან დაკავშირებული საკითხი არ მდგარიყო.

კახეთის რკინიგზის ექსპლოატაციაში გაშვება უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა იყო არა მარტო ამ კუთხის მცხოვრებთათვის, არამედ, რევაზ გაბაშვილის სიტყვები რომ გავიმეოროთ: საკუთარი რკინიგზის გაყვანა „დიდი მნიშვნელობის მოვლენა იყო ჩვენისთანა პატარა ერისათვის“.

ძალზე მძიმე ვითარება შეიქმნა კახეთის რკინიგზის მშენებლობის დამამთავრებელ ეტაპზე. ეს სირთულეები მსოფლიო ომის მიმდინარეობასთან იყო დაკავშირებული. მიუხედავად ამისა, 1915 წლის შემოდგომისათვის მშენებლობა ძირითადად დამთავრდა და რკინიგზა ექსპლოატაციაში შევიდა. მშენებლობის საერთო ღირებულებამ დიდი თანხა – 17.801.847 მანეთი და 38 კაპიკი შეადგინა.

გზა კი გაიხსნა, მაგრამ ტვირთზიდვა მეტისმეტად შემცირდა. ომთან ერთად ამის ერთ-ერთი მიზეზი, იმხანად იმპერიაში მიღებული „მშრალი კანონი“

იყო. კახეთის რკინიგზაზე ძირითად გადასატან პროდუქტად ღვინო და ღვინომასალები იყო გათვალისწინებული. მართალია, მგზავრთა რიცხვი გაიზარდა, მაგრამ მისგან მიღებული შემოსავალი სულ მცირედითაც ვერ ფარავდა ექსპლოატაციის ხარჯებს.

მთავარი პერსპექტივა იყო. თვითმპყრობელობის დამხობის პირველსავე დღეებში, დროებით მთავრობის მიერ წოდებათა გაუქმების თაობაზე მიღებულმა კანონმა, საშიშროება შეუქმნა თავადაზნაურთა კოლექტიურ ქონებასაც. ასეთ მდგომარეობაში აღმოჩნდა კახეთის რკინიგზაც. პირველ რიგში საჭირო იყო მისი მშენებლობისათვის აღებული ვალების გასტუმრება, მაგრამ საიდან და რა გზით, – ეს იყო კ. აფხაზისა და მის თანამზრახველთა საფიქრალი...

კ. აფხაზს კარგად ჰქონდა მოფიქრებული, რკინიგზის საჭიროებისათვის თუ რომელი თანხა შეიძლებოდა გამოეყენებინათ, რადგან მას დაბეჯითებით სწამდა „კახეთის რკინიგზა, დღეს თუ ზარალშია, ხვალ უეჭველად მოგებას მოგვცემს“-ო.

აღსანიშნავია, რომ რამდენიმე თვის შემდეგ 18 მილიონ მანეთზე მეტად ღირებული კახეთის რკინიგზა კ. აფხაზმა ქართლ-კახეთის თავადაზნაურობის სხვა უძრავ-მოძრავ ქონებასთან ერთად პირველ ეროვნულ ყრილობაზე ქართველ ერს მიართვა ნობათად...

ასეთია ზოგად ხაზებში კ. აფხაზის დამსახურება კახეთის რკინიგზის ჯერ მშენებლობის წარმატებით გასრულების, ხოლო შემდეგ მისი საქართველოსათვის შენარჩუნების საქმეში...

## X X X

1914 წლის 1 აგვისტოს, პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე მეფისნაცვალ ვორონცოვ-დაშკოვის წინადადებით კ. აფხაზი ისევ ნამდვილ სამხედრო სამსახურს უბრუნდება... 3 აგვისტოს მისი თავმჯდომარეობით თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საგანგებო კრება გაიმართა... კ. აფხაზმა სიტყვით მიმართა დამსწრეთ და შექმნილი მდგომარეობა დაახასიათა. აღნიშნა ისიც, თუ რა ვითარებაში აღმოჩნდა კავკასია, როგორც ფრონტისპირა რეგიონი. გამომდინარე აქედან, არც ის დაუმაღლავს, რა საშიშროების წინაშე იდგა საქართველო, თუ კი საბრძოლო მოქმედებები მის ტერიტორიაზე გაიშლებოდა.

31 აგვისტოს კავკასიის არმიის სარდლობის №12 საიდუმლო ბრძანებით კ. აფხაზი დაინიშნა ჯერ კიდევ ჩამოსაყალიბებელი კავკასიის საველე-საარტილერიო ბრიგადის მეთაურად.

29 სექტემბერს კავკასიის არმიის მთავარსარდლობის ახალი, №44 ბრძანების საფუძველზე კ. აფხაზი, სათადარიგოდან გაწვეულ იქნა ნამდვილ სამხედრო სამსახურში და დაინიშნა კავკასიის არმიის მთავარსარდლის განკარგულებაში, მიენდო საველე-საარტილერიო ბრიგადის ჩამოყალიბება და მისი მეთაურობა, თბილისის თავადაზნაურთა წინამძღოლის პოსტზე დატოვებით.

24 ოქტომბერს გუბერნიის თავადაზნაურთა საკრებულოს გაფართოებულმა სხდომამ, რომელსაც ქართველი ინტელიგენციის 80-მდე წარმომადგენელი ესწრებოდა, მოისმინა კ. აფხაზის ვრცელი მოხსენება ქვეყანაში შექმნილი განსაკუთრებული მდგომარეობის გამო, რაც საყოველთაო ომის მიზეზით იყო გამოწვეული. რუსეთის იმპერიაში შემავალი საქართველო, ამკარა საშიშროების წინაშე იდგა... კ. აფხაზი ყოველივე ამის გათვალისწინებას მით უფრო აუცილებლად თვლიდა, რომ მისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამო, პირველ რიგში, როგორც სამხედროსი, გამორიცხული არ იყო თბილისიდან მოულოდნელი გამგზავრებით დამთავრებულიყო.

კ. აფხაზმა იმ დღეს კარგად იცოდა, რომ მალე მოუწევდა მტერთან პირისპირ შეხება...

### X X X

1914 წლის ნოემბერში უდიდესი პოლიტიკური მოვლენა მოხდა მთელი კავკასიის ცხოვრებაში. 25 ნოემბერს თბილისში ჩამოვიდა რუსეთის იმპერატორი ნიკოლოზ II მრავალრიცხოვან ამაღლასთან ერთად. მას საზეიმო შეხვედრა მოუწყვეს რკინიგზის ვაგზლის დარბაზში. თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა მარშალს, კ. აფხაზს, პატივი ხვდა პირველს მიემართა სიტყვით იმპერატორისათვის და ქართველი თავადაზნაურობის სახელით ქართულ მიწაზე კეთილად მობრძანება მიელოცა...

28 ნოემბერს მეფემ თბილისის თავადაზნაურობასთან შეხვედრა ინება. შეხვედრა გაიმართა ეკატერინე სარაჯიშვილის სახლში სერგეევის ქუჩაზე (დღევანდელი მაჩაბლის ქუჩა №14, მწერალთა კავშირის სახლი).

მეფეს მიეგება გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლი კ. აფხაზი. შემდეგ მოკლე სიტყვით მიმართა და უზარმაზარი მოვერცხლილი ჯიხვის რქისაგან დამზადებული ყანწი მიართვა ქართული წარწერით: „ჩვენს დიდებულ ხელმწიფეს – ქართველი თავადაზნაურობისაგან. 28 ნოემბერი, 1914 წ.“.

კ. აფხაზმა თავისი სიტყვა ასე დაამთავრა: „ნება დაგვრთეთ, ხელმწიფეო, ქართველ თავადაზნაურობისა და ქართველი ერის სახელით ვისურვო დღეგრძელობა თქვენის უავგუსტოესის სახლობისა, ძვირფას სამშობლოსი და თქვენის იმპერატორობით უდიდებულესობის სრულიად რუსეთის სახელოვან მხედრობისა“.

იმპერატორმა კეთილ ინება და უპასუხა: „მხურვალედ გმადლობთ გულითადი დახვედრისათვის და გულითად ვსვამ ტფილისის თავადაზნაურობის სადღეგრძელოს, ბატონებო“.

1914 წლის დეკემბერში თურქეთის არმიამ ენვერ ფაშას\* სარდლობით წარმატებული შეტევა წამოიწყო რუსეთის არმიების წინააღმდეგ. კავკასიის ადგილობრივმა ხელისუფლებამ საევაკუაციო მზადება დაიწყო. მეფისნაცვალის ვორონცოვ-დაშკოვის მოადგილე, კავკასიის არმიის ჯარის სარდალი, ინფანტერიის გენერალი მიშლავესკი ფრონტის წინა ხაზიდან გამოიქცა... „ამ უტიფარმა „სარდალმა“, - როგორც რეზო გაბაშვილი იგონებს, - წინადადება

მისცა საქართველოს თავად-აზნაურობასა და ხალხს: „რუსეთის ჯარი სტოვებს კაკასიას; ქართველმა ხალხმა უნდა დაანგრიოს ხიდები, სახლები, გადასწვას ბალ-ვენახები და ყანები, დაიხიოს რუსის ჯართან ერთად, რომ შემოსულ მტერს მხოლოდ უდაბნო დახვდეს, საცა ვერც სანოვაგე, ვერც ბალახი, ვერც ცხენი და ურემ-საქონელი და არც ადამიანი დარჩეს – გამოსაყენებლადო...“. მიშლავესკი ამასთან „გვპირდებოდა – თბილისსა და სხვა ქალაქებს ისე ავაფეთქებთ ჩვენ თვითონ, რომ ქვა-ქვაზე არ დარჩეს... ოსმალებს თავშესაფარავადო...“.

კოტე აფხაზმა ჩახლეჩილი ხმით ეს რომ წაგვიკითხა, კრებულს ჩოჩქოლი შეუდგა“. არადა „ოფიციალურ დაწესებულებას არ შეეძლო ოფიციალურ წინადადებაზე პასუხი არ მიეცა“.

მაღლობა ღმერთს, რომ მშობარა და პროვოკატორი რუსის გენერლის ამ ჩანაფიქრს აღსრულება არ ეწერა, რადგან იგი „მაშინვე გადააყენეს“, თორემ ალა-მაჰმად ხანის\* მიერ თბილისის მიწასთან გასწორება მასთან მონაგონი იქნებოდა.

## X X X

1915 წლის იანვრის შუა რიცხვებში გარდაიცვალა დიდი აკაკი. როგორც კი თბილისში ეს სამწუხარო ცნობა მიიღეს, მაშინვე დეპუტატთა საკრებულოში შეიკრიბნენ ქართული კულტურისა და პრესის წარმომადგენლები. ხალხმრავალმა კრებამ კ. აფხაზის თავმჯდომარეობით ითათბირა და დაადგინა: აკაკის ნეშტი საჩხერიდან თბილისში იქნას გადმოსვენებული და მთაწმინდაზე ილიას გვერდით დაიკრძალოსო.

27 იანვარს ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილ იქნა პანაშვიდი აკაკის სულის მოსახსენიებლად. პანაშვიდზე თავისი სურვილით მობრძანდა საქართველოს ეგზარქოსი პიტირიმი. სამძიმარი გამოუცხადა კ. აფხაზს და მისი სახით მთელ ქართველ ხალხს და მშვენიერ სიტყვა წარმოსთქვა.

კ. აფხაზმა თავისი პირადი დამოკიდებულება დიდი პოეტისადმი, მთაწმინდაზე, მის საფლავთან წარმოთქმულ სიტყვაში გააცხადა: „აი ულმობელმა სიკვდილმა კიდე ერთი წმიდა ასო ჩამოჰკვეთა საქართველოს სხეულს... გენიოსის სწორო მგოსანო, პატიოსანი ხელი გულზე დაიკრიფე, მაღლიანი შენი ენა გააჩუმე და ოქროს პირი მოკუმე! ვის ძალუმს შეამკოს საკვირველნი საქმენი შენნი! ცით გაცისკროვნებული შენი გონება თითქმის სამოცი წელი ამსახურე საქართველოს მიწა-წყალს და შენს საყვარელ ერს. შიგ გულში ჩაუნთე შენს სამშობლოს საუკუნო ლამპარი უკვდავებისა! განგება რომ დროგამოშვებით შენგვარი სულნი არ მოუვლინოს სამშობლოს, ხომ ამოიხვეწა წმინდა სახელი საქართველოსი და გაჰქრა სამუდამოდ შენი ერის ტკბილი ენა!

შენი სიკვდილი გასაოცარი არაა, რადგან ყოველი ადამიანის დაბადება უკვე პირველი ნაბიჯია სიკვდილისაკენ! ჩვენ შეილნი შენი ტკბილი სამშობლოსი, ეხლა მხოლოდ ერთ მწუხარებას შევუპყრივართ! რომ აქედან მიდიხართ საქართველოს წარჩინებულნი შეილნი, ვისა სტოვებთ აქ თქვენს მაგიერ,

თქვენის ანდერძის ასასრულებლად?! პატიოსანო მეოსანო, რომ წარსდგები დედაღვთისმშობლის წინაშე, შეავედრე მისი წილხვედრი საქართველო, ნუ მოაკლებს ყურადღებას და მოუვლინოს შენგვარი გვამნი ჩვენ ტანჯულ, დაავადებულ სამშობლოს!“

### X X X

1915 წლის მარტის დასაწყისში კ. აფხაზი თავისი ბრიგადით, რომელიც მეხუთე კორპუსის შემადგენლობაში შედიოდა, დასავლეთის ფრონტზე გაემგზავრა, სადაც წლის ბოლომდე დაჰყო. აქტიურად მონაწილეობდა საბრძოლო ოპერაციებში და უმაღლესი სარდლობის ყურადღებას იქცევდა თავისი სიმამაცითა და თავდადებით. სწორედ ამიტომ, იგი ორგზის იქნა დაჯილდოებული წმ. მოწამეთა სწორის თავად ვლადიმირის IV და III ხარისხის ორდენებით\* 1915 წლის 27 აპრილსა და 14 ოქტომბერს. ამასთანავე, მტრის წინააღმდეგ საომარი მოქმედებების დროს თავდადებული და გულმოდგინე სამსახურისათვის უმაღლესი ბრძანებით იმავე წლის 8 ნოემბერს პოლკოვნიკის ნამდვილი სამხედრო წოდება მიენიჭა.

ამ დროს კავკასიის ხელმძღვანელობის უმაღლეს ემელონში სერიოზული გადაადგილებები მოხდა: როგორც იქნა მეფისნაცვლობიდან გადააყენეს ქართველთმომოქულე გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი, რომელმაც ათი წლის მანძილზე ათეულობით უძიმესი ჭრილობა მიაყენა ქართველი ხალხის სულსა და საქართველოს ისედაც დაფლეთილ სხეულს. ქართველთათვის სულ ერთი არ იყო ვინ დაიკავებდა ამ უმაღლეს ადმინისტრაციულ პოსტს. ხელმწიფე-იმპერატორის სურვილის შესაბამისად, კავკასიაში მის მოადგილედ დანიშნულ იქნა დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე რომანოვი, რომელსაც ახლო ნაცნობობა აკავშირებდა კ. აფხაზთან...

1915 წლის 3 დეკემბერს კავკასიის არმიის მთავარსარდალმა უავგუსტოესი თხოვნით მიმართა ქვეყნის უმაღლეს მთავარსარდალს, იმპერატორ ნიკოლოზ II-ს, რათა კ. აფხაზი გამოწვეული ყოფილიყო დასავლეთის ფრონტიდან კავკასიის მთავარსარდლის განკარგულებაში.

1916 წლის იანვარში კ. აფხაზი რუსეთის სამხედრო მინისტრის ბრძანებით კავკასიაში სახელმწიფოს თავდაცვის განსაკუთრებულ რწმუნებულად დაინიშნა... თებერვალში კი სრულიად რუსეთის ერობებისა და ქალაქების კავშირის მთავარი კომიტეტის თავმჯდომარის თავად ლვოვის თხოვნით კ. აფხაზმა ახალი საპასუხისმგებლო სამსახურის, – კავკასიის ფრონტის საინჟინრო-საამშენებლო რაზმების კომიტეტის თავმჯდომარეობა შეითავსა, რომლის ადგილსამყოფელი თბილისში იყო.

1916 წლის მარტში ერთი მნიშვნელოვანი ეროვნული მოვლენა მოხდა ქართველი ხალხის ცხოვრებაში: თბილისის სტუმრად ეწვია აჭარლების წარმომადგენლობითი დეპუტაცია.

აჭარელთა ამ დელეგაციის ჩამოსვლა თბილისში დიდი ხნის უნახავ ძმებთან მართო შეხვედრის სურვილით არ იყო განპირობებული... როცა კავკასიის ფრონტის ამ მონაკვეთზე რუსეთის არმიებმა განსაკუთრებულ წარმატებებს მიაღწიეს და ისტორიული საქართველოს ტერიტორიების დიდი ნაწილი მათ ზურგში აღმოჩნდა, პირველი რაც მოიმოქმედეს ის იყო, რომ ისედაც გაწამებული ქართველი მაჰმადიანი მოსახლეობის მასობრივი დაპატიმრებები და ლაღატის მოტივით სამართალში მიცემა დაიწყეს. აჭარელთა სასამართლო პროცესმა მაშინ დიდი გამოხმაურება ჰპოვა მთელ ქართველ საზოგადოებაში. იმ დღეებში აჭარელთა წარმომადგენლების თბილისში ჩამოსვლას კონკრეტული მიზანი ჰქონდა: შეხვედროდნენ როგორც ადგილობრივი ოფიციალური ხელისუფლების, ისე ქართველი საზოგადოების წარმომადგენლებს და თავიანთი ჭირ-ვარამი გაეზიარებინათ მათთვის...

1916 წლის 4 მარტს აჭარელთა დელეგაციას შეხვდა თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლი, თავადი კ. აფხაზი და ხანგრძლივი, ძმური საუბარი ჰქონდა მათთან.

პირველი სიტყვა რეჯებ ბეგ ნიჟარაძეს წარმოათქმევინეს: „სალამს გიძღვნით თქვენ ქართველთა წარმომადგენელს, ძველის-ძველ მოძმეებისაგან, ჩვენს ძველ ძმებს იმ აურაცხელ სამსახურისა და დავალების შემდეგ, რომელიც თქვენს თავზედ იდეთ ამ ჩვენთვის ფრიად საძნელო დროში. ჩვენ აუცილებელ მოვალეობად ვსთვლით, მოვსულიყავით და თქვენთვის სალამი მოგვეძღვნა“.

კ. აფხაზს საპასუხო სიტყვაში ხაზგასმით მიუთითებია იმ უდიდეს ისტორიულ როლზე, რომელიც აჭარას მიუძღოდა საქართველოს წინაშე:

„სალამს გიძღვნით, გისურვებთ ამ ერთობის განმტკიცებას და ჩვენს მჭიდრო დაკავშირებას.

ბევრნი ცდილობენ ჩვენი მიწა-წყლის ხელში ჩაგდებას, მაგრამ მძლავრად შეკავშირებულებმა უნდა ვეცადოთ ხელიდან არაფერი არ გაგუშვათ. ჩვენ უნდა დავიბრუნოთ დაკარგული მიწა-წყალი და ძმობა-ერთობაში ვეცადოთ ერთ მშობელ საქართველოსათვის მოღვაწეობას“.

იმავე დღეს კ. აფხაზი მონაწილეობას ღებულობს ქართველი საზოგადოების მიერ აჭარის დელეგაციისათვის გამართულ ნადიმში, რომელსაც ქართველთა თითქმის ყველა წოდებისა და ხელობის 200-მდე წარმომადგენელი დასწრებია.

აფასებდა რა ამ შეხვედრის მნიშვნელობას მისი ერთ-ერთი მონაწილე, ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ რედაქტორი იოსებ იმედაშვილი წერდა: „ეს ჩვეულებრივი ნადიმი კი არა – ნამდვილი, მრავალ ათეულ წლებით მიძინებული ქართული სულის გაღვიძების დღესასწაული იყო... გზა მიეცა დახშულ გრძნობას, მშობლიურ სწორმეტყველებას, ლალ პოეტურ აღმაფრენას...“

5 მარტს ქართლ-კახეთის თავადაზნაურთა საგანგებო კრება გაიმართა, რომელიც რუსეთის მხედრობის მიერ ქ. ტრაპიზონის ალებას მიემდგვნა. შეკრებილთ ეს ამბავი კ. აფხაზმა აუწყა, რაც აღფრთოვანებით იქნა მოსმენილი დამსწრეთა მიერ. უსაფუძვლო არ იყო იქ შეკრებილ ქართველთათვის ამ ცნობით გამოწვეული სიხარული. კავკასიის ფრონტის ამ უბანზე ხომ ათასობით ქართველი ჯარისკაცი, ოფიცერი და გენერალი იბრძოდა. მათი თავგანწირვისა და სიმამაცის შთამაგონებელი იყო რწმენა იმისა, რომ ისინი საკუთარი მიწა-წყლის განთავისუფლებისათვის იბრძოდნენ... (საინტერესოა აღინიშნოს, რომ პირველ მსოფლიო ომში იმდროინდელი ცნობების მიხედვით 400 000 ქართველი მონაწილეობდა, რომელთა უმრავლესობა კავკასიაში მებრძოლი არმიების შემადგელობაში იბრძოდა).

კრების მონაწილეებმა თავიანთ მარშალს დაავალეს მილოცვა გაეგზავნა მეფისნაცვლისათვის, რაც დაუყოვნებლივ იქნა აღსრულებული. საპასუხო ბარათი იმავე საღამოს მიიღო კ. აფხაზმა, რომელშიც ნათქვამი იყო: „ჭეშმარიტად ღვთის მადლი თავს დასტრიალებს კავკასიის მხედრობას. მხედრობისა და ჩემს მაგიერ გულითად მადლობას ვუცხადებ თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობას მოლოცვისა და თანაგრძნობის გამოცხადებისათვის. გენერალ-ადიუტანტი ნიკოლოზი“.

შალვა მალლაკელიძის თქმით: „ჩვენი პატრონი ახლა (გულისხმობს 1916 წელს – გ.ს.) ნიკოლაი ნიკოლაევიჩია, მეფის ბიძა, შავ ჩოხაში დადის, შესანიშნავი გარეგნობის, ძალიან თავმოძვონე კაცი, სულ არ გავს ნიკოლოზს (იმპერატორ ნიკოლოზ II-ს – გ. ს.). ვეებერთელაა, ჩვენ თავადებთან ქეიფობს, განსაკუთრებით უყვარს კოტე აფხაზი.“

აქვე მივუთითებ, რომ უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენლებთან კ. აფხაზის ურთიერთობის შესახებ ყურადღებას შეგნებულად ვამახვილებ. ვორონცოვ-დაშკოვის მეფისნაცვლობის პერიოდში, მასთან ყოველი ქართველის რაიმე სახის კონტაქტი უკიდურესად გაძნელებული იყო; გამომდინარე აქედან, ქართველთა საჭიროებანი მისთვის ყოველთვის შეუმჩნეველი რჩებოდა. ახალი მეფისნაცვლის ზეობისას კი, კ. აფხაზი თავის პირად ნაცნობობას მაღალი ეშელონების წარმომადგენლებთან მაქსიმალურად იყენებდა თავისი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ.

X X X

1916 წელს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა კ. აფხაზის ცხოვრებაში. იგი რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრად იქნა არჩეული. სახელმწიფო საბჭო, როგორც კანონსათათბირო ინსტიტუტი 1801 წლის 1 იანვრიდან არსებობდა. ხსენებულმა ორგანომ 1917 წლის თებერვლამდე იარსება, ვიდრე რომანოვების დინასტიის 300-წლოვანი ბატონობა არ დაემხო. საინტერესოა აღინიშნოს, რომ რუსეთის იმპერიის ამ ერთ-ერთ უმაღლეს

ორგანოში მისი არსებობის საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე სულ რვა ქართველი შედიოდა, ესენი იყვნენ:

1. ცნობილი ქართველი პოეტი და სამხედრო მოღვაწე გრიგოლ ორბელიანი (1800-1883), რომელმაც რუსეთის საიმპერიო ხელისუფლების წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის მიიღო ესოდენ დიდი წყალობა. მას მინიჭებული ჰქონდა გენერალ-ადიუტანტის და ინფანტერიის გენერლის წოდებები, დაჯილდოებული იყო რუსეთის იმპერიის ორდენით, მათ შორის ანდრია პირველწოდებულის უმაღლესი ორდენით, რომელიც 1871 წელს თბილისში მყოფმა იმპერატორმა ალექსანდრე II-ემ თავისი ხელით გადასცა.

2. გრ. ორბელიანის შემდეგ სახელმწიფო საბჭოს წევრად იმპერატორ ალექსანდრე III-ის მიერ დანიშნულ იყო თავადი ლევან მელიქიშვილი (1817-1892), გენერალ-ადიუტანტი, რუსეთის არმიის კავალერიის გენერალი. ლ. მელიქიშვილს, სხვა რომ არაფერი გაეკეთებინა, ჩვენი ქვეყნის ისტორიაში დასარჩენად გენიოსი ნიკოლოზ ბარათაშვილის თანაკლასელობა და სიყრმის მეგობრობაც ეყოფოდა...

3. ქართველი ბრწყინვალე თავადი, იმერეთის მეფის სოლომონ II-ის შვილიშვილი ალექსანდრე კონსტანტინეს ძე იმერეთინსკი (ბაგრატიონი) (1837-1900) გახლდათ. მან განათლება პეტერბურგის პაჟთა კორპუსში მიიღო, გენერალური შტაბის აკადემიის დამთავრების შემდეგ მონაწილეობდა კავკასიის მთიელთა დამორჩილებაში და პოლონელ აჯანყებულთა წინააღმდეგ ბრძოლაში: იყო ვარშავის ოლქის ჯარების შტაბის უფროსი. 1877-1878 წლებში მონაწილეობდა რუსეთ-თურქეთის ომში. მისი სარდლობით მეორე ქვეითთა დივიზიამ 1877 წლის 22 აგვისტოს აიღო ლოჯის ციხე-სიმაგრე, 1878 წლიდან 12 წლის განმავლობაში იყო რუსეთის არმიის მთავარი სამხედრო პროკურორი და მთავარი სასამართლოს უფროსი. 1896 წლიდან ეკავა ვარშავის სამხედრო ოლქის სარდლისა და ვარშავას გენერალ-გუბერნატორის პოსტი; მინიჭებული ჰქონდა გენერალ-ადიუტანტისა და ინფანტერიის გენერლის წოდებები.

4. 1906 წლის „სახელმწიფო საბჭოს კანონის“ საფუძველზე რუსეთის სამეცნიერო ინტელიგენციის წარდგინებით სახელმწიფო საბჭოს წევრად არჩეულ იქნა „ცნობილი ქართველი მწერალი და პუბლიცისტი, თავადი ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე (1837-1907 წწ.)“.

5. ილიას სიკვდილის შემდეგ ბევრმა ქართველმა მოინდომა სახელმწიფო საბჭოში გამოთავისუფლებული ადგილის დაკავება. რეაქციის მძვინვარების პერიოდში რუსეთის მემარჯვენე თავადაზნაურობის წარმომდგენელთა მხარდაჭერით, ყველას თავადმა ანდრია ერისთავმა აჯობა. იგი ექსი წლის განმავლობაში (1909-1915) შედიოდა სახელმწიფო საბჭოს შემადგენლობაში.

1916 წლის 9 ოქტომბერს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საგანგებო კრებამ სახელმწიფო საბჭოს წევრთა არჩევნებში მონაწილეობისათვის ორი კანდიდატი, – საგუბერნიო მარშალი კ. აფხაზი და თბილისის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლი დ. ჩოლოყაშვილი აირჩია. პეტერბურგში გამგზავრების წინ ისინი მეფისნაცვალმა ნ. ნ. რომანოვმა მიიღო და გზა დაულოცათ... 25 ოქტომბერს იმპერიის დედაქალაქში სახელმწიფო საბჭოს



წევრთა ამომრჩევლების ყრილობა გაიმართა. არჩევნებში 77 კაცი მონაწილეობდა. კ. აფხაზის არჩევას სახელმწიფო საბჭოში ხმა მისცა 47 კაცმა, 25 წინააღმდეგი იყო, ხოლო ხუთმა თავი შეიკავა.

ისე, როგორც მისი ბიძა, ილია ჭავჭავაძე, სახელმწიფო საბჭოს წევრად კ. აფხაზი არჩეულ იქნა თავადაზნაურთა წარდგენითა და მხარდაჭერით დარჩენილი 5 წლის ვადით 9 წლიდან.

„მოსკოვის ქართველთა წრეებში დიდ იმედებს ამყარებდნენ სახელმწიფო საბჭოს ახლადარჩეულ წევრ, ქართლ-კახეთის თავადაზნაურობის წინამძღოლ, თავად კ. ნ. აფხაზზე. რომელსაც საშუალება აქვს წამოაყენოს და გააშუქოს მორიგი ქართული საკითხები უმაღლეს საკანონმდებლო დაწესებულებების წინაშე“ – დაასკვნოდა გაზეთი. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი, რომელიც სახელმწიფო საბჭოს წევრმა კ. აფხაზმა გადადგა იყო მიტროპოლიტ პიტირიმთან ვიზიტი მის სასახლეში, იმაჟამად პეტერბურგში მყოფ ქართველების ერთ ჯგუფთან ერთად, რომლებმაც კვერთხი მიართვეს ქართველთმოყვარე სასულიერო მოღვაწეს. კ. აფხაზმა შემდეგი სიტყვებით მიმართა მცხოვან მიტროპოლიტს: „ჩვენ, მადლიერნი შვილნი საქართველოსი, უმორჩილესად გთხოვთ მიიღოთ ივერიის ეკლესიის ძეთა ეს სადა და უბრალო საჩუქარი ნიშნად თქვენის სახელოვანის სამსახურისა ჩვენს შორის“ (როგორც ზევით მქონდა საუბარი, მიტროპოლიტმა პიტირიმმა საქართველოს ეგზარქოსად ყოფნის დროს ბევრი რამ გააკეთა ქართველი ხალხის ღირსების დასაცავად. აკაკისა და ვაჟას პანაშვიდებზე გამოსვლა და აჭარელთა დასაცავად ხმის ამაღლების გახსენებაც კმარა).

კ. აფხაზის სიტყვების პასუხად მიტროპოლიტმა პიტირიმმა აღნიშნა: „მე ბედნიერი ვიქნები თუ ოდესმე გავიგონებ, რომ ბედნიერია საქართველო და ბედნიერნი არიან ძენი ივერიის ეკლესიისა. ჩემი მუდმივი მისწრაფება არის – ხელი შევეწყო ივერიის ეკლესიის კეთილდღეობას... იმედი გვქონდეს უკეთეს მომავლისა და მხნეობას ნუ დაგვარგავთ. ვინ უწყის, როგორია განგება უფლისა. იქნება მეც ის მიწერია, რომ ძვლები ჩემნი ჩავყარო ჩემთვის ძვირფას საქართველოში, ღვთისმშობლის წილხდომილ ქვეყანაში“.

სახელმწიფო საბჭოში კ. აფხაზის მოღვაწეობა დიდხანს არ გაგრძელებულა. 1917 წლის თებერვალში ცარიზმის დამხობის შემდეგ საქმიანობა შეწყვიტა სახელმწიფო საბჭომაც...

## X X X

ქართული უნივერსიტეტის დასაარსებლად რუსეთში წინასწარ გაწეული ნაყოფიერი მოსამზადებელი მუშაობის შემდეგ, 1917 წლის აპრილში ივანე ჯავახიშვილი პეტერბურგიდან თბილისში დაბრუნდა... იგი ქართველ საზოგადო მოღვაწეებთან და ინტელიგენციის წარმომადგენლებთან ერთად ინტენსიურ საქმიანობას აგრძელებს სანუკვარი ოცნების ხორცშესხმისათვის. 12 მაისს თბილისში იკრიბება ქართული თავისუფალი უნივერსიტეტის საზოგადოება,

რომელიც შემდგომ ამ საზოგადოების დამფუძნებელ კრებად იქნა მიჩნეული. კრებაზე დამსწრე ქართველი მეცნიერების, მწერლების, კულტურის და საზოგადოების 28 წარმომადგენელს შორის არის კ. აფხაზიც. აქედან მოყოლებული იგი გვერდიდან არ მოსცილება ივ. ჯავახიშვილს და თავისი ავტორიტეტული სიტყვით და საქმით ეხმარებოდა მას უდიდესი ჩანაფიქრის ხორცშესხმისათვის ბრძოლაში.

ასე, რომ კ. აფხაზი ქართული უნივერსიტეტის დაარსების ინიციატორთა ჯგუფის თავმჯდომარე და მისი საზოგადოების წესდების ერთ-ერთი შემმუშავებელი იყო. აშკარად იგი ეროვნული საქმის ერთ-ერთი მონაწილეც გახდა, რაც ივანე ჯავახიშვილისაგან მისი მნიშვნელოვანი დამსახურების აღიარებასაც ნიშნავს და ერთხელ კიდევ ხაზგასმით მიუთითებს დიდი მეცნიერისა და მამულიშვილის გამორჩეულ დიდსულოვნებაზე.

## X X X

პეტერბურგში დაბრუნებული კ. აფხაზი, როგორც სახელმწიფო საბჭოს წევრი, უშუალო მომსწრე და მონაწილე იყო იმ ისტორიული მოვლენებისა, რომლებიც იმჟამად იმპერიის დედაქალაქში დატრიალდა. 1917 წლის 28 თებერვალს სახელმწიფო სათათბიროს მოთხოვნითა და სახელმწიფო საბჭოს დასტურით, ნიკოლოზ II-მ „ნებაყოფლობით“ უარი თქვა სამეფო ტახტზე და იგი თავის ძმას, დიდ მთავარს მიხეილ ალექსანდრეს ძეს გადაულოცა.

როგორც ცნობილია, მიხეილ რომანოვმაც უარი განაცხადა სამეფო ტახტის დაკავებაზე და თავის მხრივ თხოვნით მიმართა მოსახლეობას, – დამფუძნებელი კრების არჩევნებამდე დროებით მთავრობას დამორჩილებოდნენ.

უძველეს დარჩენილ ქვეყანაში სახელმწიფოს მართვა-გამგეობა IV სახელმწიფო სათათბიროს დროებითი კომიტეტის ხელში გადავიდა... უფუნქციოდ დარჩა სახელმწიფო საბჭოც...

კ. აფხაზმა დაუყოვნებლივ განჭვრიტა ის პერსპექტივა, რომელიც შეიძლებოდა შედეგად მოჰყოლოდა თვითმპყრობელობის დამხობას... მისი დასტურით, ქართლ-კახეთის თავადაზნაურობის საგანგებო კრებამ 1917 წლის 5 მარტს წერილი გაუგზავნა IV სახელმწიფო სათათბიროს და მისი აღმასრულებელი კომისიის თავმჯდომარეს მ. როძიანკოს, ამავე კომიტეტის წევრს ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძეს და სახელმწიფო საბჭოს წევრს, თბილისის თავადაზნაურთა საგუბერნიო მარშალს კ. აფხაზს. წერილში აღნიშნული იყო „რუსეთის იმპერიაში, უკვე დამხობილ სახელმწიფო წყობილებისაგან, ისე არავინ დატანჯულა, როგორც ქართველი ხალხი, რომელმაც ასზე მეტი წლის განმავლობაში კავკასიაში რუსეთის მეფის დროს მწვავედ განიცადა იმპერიალისტური ძალმომრეობის მთელი სიმძიმე; იგი ბორკავდა და ანადგურებდა ყოველივე იმას, რაც ერის თავისებურებას – თვით არსებობის ნიშანს შეადგენდა. ყოველი კულტურული ღირებულება ხალხის სულისა წაშლილ იქნა და მტვრადქცეული, ეკლესია, სკოლა, მთავრობის დაწესებულებანი, ყველა შეადგენდა ადგილს და საშუალებას პიროვნების

ძალდომიერებით გაქვლვისას და ქართველი ხალხის გარუსებისას. ვერც ვალდებულებამ 1783 წლის ტრაქტატისამ, რომელმაც ქართული სამეფოს ბედი რუსეთის იმპერიასთან გადააბა, ვერც ქართველი ხალხის მუდმივმა ლოიალობამ, ვერც სისხლის ნაკადულებმა, რომელიც ქართველ ხალხს უამრავ ომებში დაუღვრია და, რომელსაც ახალაც ღვრის რუსეთის იარაღის გასამარჯვებლად, ვერ გამოიწვია რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრების ხელმძღვანელობაში სამართლიანი განწყობილება ქართველი ხალხისადმი...“ იქვე გამოთქმული იყო რწმენა, რომ რუსეთის ახალი ხელისუფლება აწი მაინც „ხელს შეუწყობდა ქართველ ხალხს პოლიტიკური ავტონომიის საფუძველზე თავისი ნაციონალური უფლებების განხორციელებაში“.

კ. აფხაზი დაუყოვნებლივ მოემშურება სამშობლოსაკენ და 15 მარტს იგი თბილისშია.

დაბრუნდა თუ არა თავისი ხალხისათვის სასარგებლო საქმეების კეთებას შეუდგა.

კ. აფხაზის საქმიანობის ყველაზე უმთავრესი მიმართულება 1917 წლის მარტი-ნოემბრის მანძილზე თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საზოგადოებისა და საადგილმამულო ბანკის მიერ თითქმის 50 წლის მანძილზე დაგროვილი უძრავ-მოძრავი ქონების დაცვისა და მისი განკარგვის მოწესრიგების საქმე იყო...

ერთ-ერთი პირველი დეკლარაცია, რომელიც დროებითმა მთავრობამ გამოსცა, – წოდებრიობის გაუქმება იყო. მომდევნო ნაბიჯი, რომელიც შეიძლებოდა ამ გადაწყვეტილებას მოჰყოლოდა, მდიდარი კლასების მფლობელობაში მყოფი ქონების ნაციონალიზაცია იქნებოდა. მოსალოდნელი საფრთხით შეშინებული რუსეთის თავადაზნაურობა გამოსავლის ძებნას შეუდგა... განსაკუთრებით აქტიურობდა რუსეთის თავადაზნაურთა საზოგადოების გაერთიანებული მუდმივი საბჭო.

10 მარტს გამოგზავნილ წერილში ხსენებული საბჭოს თავმჯდომარე ალ. სამარინი კ. აფხაზს ატყობინებდა: „სახელმწიფო წყობის და საზოგადოებრივი ცხოვრების შეცვლის გამო, შესაძლოა შეიცვალოს ცალკეულ კლასების, ჯგუფების და მათ შორის თავადაზნაურობის მდგომარეობაც...“, გამომდინარე აქედან, იგი სთხოვდა კ. აფხაზს დაწვრილებითი ცნობები მიეწოდებინა ადგილზე არსებული ვითარების თაობაზე.

28 მარტს კ. აფხაზი ამის საპასუხოდ ალ. სამარინს სწერდა: „მომხდარი სახელმწიფო გადატრიალების და დროებითი მთავრობის პროგრამის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით, რომელშიც სხვათაშორის, გათვალისწინებულია წოდებათა სრული გათანაბრება, ბუნებრივად ჩნდება რწმენა, რომ თავადაზნაურთა წოდებრივი თვითმმართველობაც გაუქმდეს. ასეთ ვითარებაში დგება საკითხი, თუ როგორ მოექცევიან თავადაზნაურობის, როგორც საზოგადოების, უძრავ-მოძრავ ქონებას, როგორც იურიდიული პირის საკუთრებას; ვინ იქნება ამ ქონების, აგრეთვე მისი სხვა ქონებრივი უფლებების სამართალმემკვიდრე. ამიტომ, კ. აფხაზის აზრით, საკითხი უნდა დასმულიყო იმის შესახებ, თუ რა ფორმით უნდა მომხდარიყო თავადაზნაურთა კოლექტიური

ქონების ლიკვიდაცია... რისთვისაც უმჯობესი იქნებოდა რუსეთის თავადაზნაურობის საზოგადოების მუდმივ საბჭოს შექმნა და დებულება და დამტკიცებინა იგი, რომლის ძალითაც თავადაზნაურთა საზოგადოებებს თავიანთი კოლექტიური ქონების განკარგვის უფლება თვითონვე მიეცემოდათ“.

კ. აფხაზის ყოველდღიური საფიქრალი და საზრუნავი ახლა ესაა. მან კარგად იცის, რომ ასეთ ვითარებაში ყოველმა გაუთვალისწინებელმა ნაბიჯმა შეიძლება გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს ერის მომავალ ბედ-ილბაღს. ამიტომ გამუდმებულ კონტაქტშია თავადაზნაურობის საკრებულოს წევრებთან, სამშობლოში თუ მის გარეთ მცხოვრებ თანამემამულეებთან, წერილობით ეთათბირება მათ და სთხოვს ქმედით დახმარებას, თუ რა გზას დაადგენ ესოდენ კრიტიკულ სიტუაციაში მყოფნი. ერთ-ერთი ასეთი პიროვნებაა პროფესორი ზურაბ ავალიშვილი, რომელსაც 1917 წლის 29 აპრილს წერილს უგზავნის პეტერბურგში და დაუყოვნებლივ დახმარებას სთხოვს.

დახმარებაში გულისხმობდა მომავალი ავტონომიური საქართველოს კონსტიტუციის პროექტის შემუშავებას.

„კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი და გადაუდებელი (ხაზგასმა კ. აფხაზისაა – გ. ს.) საქმე, რომლის გადაწყვეტაც თქვენს შემწეობას მოითხოვს. ესაა – თავადაზნაურობის კოლექტიური ქონების ლიკვიდაციის მიზანშეწონილობა წერდა იგი ზ. ავალიშვილს.

წოდებათა გათანაბრებასთან ერთად, უეჭველად, გაუქმებულ იქნება თავადაზნაურობა. როგორ მოექცევიან ჩვენს უძრავ და მოძრავ ქონებას, ჩვენს უფლებებს კახეთის რკინიგზის საზოგადოების მართვაში, რაც მთავარია – ჩვენს 50%-იან უფლებას თბილისის სათავადაზნაურო-სამიწათმოქმედო ბანკში? – ვინ იქნება სამართალმემკვიდრე?...

ყველა ამ საკითხს, რა თქმა უნდა იმ შემთხვევაში ექნება ადგილი, თუ საქართველოს, ადამიანური უსამართლობის გამო, ავტონომია არ მიენიჭება. ხოლო ავტონომიის დროს თავადაზნაურობის მთელი ქონება და თვით ბანკიც, ბუნებრივად გადავა ავტონომიური ხელისუფლების განკარგულებაში. ამ დოვლათის ღირებულება კი მცირე როდია, – ჩემი მიახლოებითი გაანგარიშებით 15 მილიონ მანეთს ითვლის.

ასე რომ თავად ზურაბ დავითის ძე, როგორი დაკავებულიც არ უნდა იყო, შენი სამშობლო, მისი ცხოვრების ამ მრავალმნიშვნელოვან მომენტში, თქვენგან და თქვენი თანამოაზრეებისაგან მოითხოვს თქვენი ნიჭის, ცოდნის, გამოცდილებისა და კავშირების დახმარებას, – და თქვენ, რა თქმა უნდა, უფლება არა გაქვთ უარი უთხრათ მას ამ დახმარებაზე და, გარდა ამისა, არ დააყოვნებთ ასეთი დახმარების თავისდროულ აღმოჩენას.

თქვენდამი სამსახურისა და ერთგულებისათვის მარად

მზადმყოფი თავადი კ. ნ. აფხაზი

№462

29 აპრილი, 1917 წ.

ტფილისი“.

1917 წლის 7 მაისს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საკრებულომ მიმდინარე წლის საგარეულო ხარჯთაღრიცხვის საკითხი განიხილა და დაადგინა – იგი საერთო კრების დასამტკიცებლად წარედგინა.

მოხსენებაში აღნიშნული იყო იმის შესახებაც, რომ ქართლ-კახეთის თავადაზნაურობამ დროებითი მთავრობისათვის გაგზავნილ დეპუტატში „გადაჭრით და საბოლოოდ განსაზღვრა თავადაზნაურობის მსოფლმხედველობა...“. იგულისხმებოდა პოლიტიკური ავტონომიის მოთხოვნა... როგორც წოდებრივ კოლექტივს, რომელიც სახელმწიფოში მოქმედი კანონის ძალით იყო აღიარებული; ქართლ-კახეთის თავადაზნაურობა ყოველთვის გულთან მიტანით იზიარებდა ხალხის თავისუფლების პრინციპს და, როცა ეროვნული ინტერესები მოძალადეთა წინააღმდეგ ხმის ამოღებას მოითხოვდა, იგი უკან არასოდეს იხევდა...“ კ. აფხაზის პრაქტიკული საქმიანობის უპირველეს მიმართულებად თავადაზნაურთა ქონების ბედის საკითხი წარმოადგენდა. დრო კი მიდიოდა და ის მომენტიც დადგა, როცა დასასრულის დასაწყისი აშკარად გამოიკვეთა. ეს მოხდა მაშინ, როცა კ. აფხაზმა დროებითი მთავრობის თბილისის გუბერნიის კომისრისაგან ოფიციალური წერილი მიიღო, რომელშიც ნათქვამი იყო: „ამასთან ერთად გაახლებთ პეტერბურგში კავკასიის საქმეთა სამმართველოს მიერ გამოგზავნილ შინაგან საქმეთა სამინისტროს ცირკულიარის ასლს, გაცემულს ამა წლის 5 სექტემბერს – სათავადაზნაურო დაწესებულებების ლიკვიდაციის მზადებასთან დაკავშირებით. გთხოვთ თქვენს განკარგულებას თბილისის გუბერნიის სათავადაზნაურო დაწესებულებათა საქმეების ერთი თვის ვადაში არქივში ჩასაბარებლად მომზადების შესახებ. პასუხი მაცნობეთ“.

ამ საკითხის დაუყოვნებლივ განსახილველად 1917 წლის 14 ოქტომბერს შედგა თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლთა და დეპუტატთა საკრებულოს სხდომა.

სხდომის მონაწილეები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ხსენებული ქონება დაუყოვნებლივ გადაცემოდა რომელიმე ქართულ დაწესებულებას, რომელიც მის დაცვასა და შენახვას უზრუნველყოფდა... 16 ოქტომბერს ქონების სალიკვიდაციო კომისიის სხდომაზე გამოსვლისას კ. აფხაზი აღნიშნავდა: „ვალად ვრაცხ განვაცხადო, რომ წინააღმდეგი ვარ და ვიქნები იმ გადაწყვეტილების, რომ თავადაზნაურობის ქონება ერთ ან რამდენიმე დაწესებულებას გადაეცეს“. მისი აზრით, მთავრობას რა დეკრეტიც არ უნდა გამოეცა, იგი საქართველოს თავადაზნაურობის ქონებას ვერ შეეხებოდა.

რატომ, რა საფუძველი ჰქონდა კ. აფხაზს ასე ეფიქრა? უპირველეს ყოვლისა ის, რომ ქართველი თავადაზნაურობა ქართველი ერის განუყოფელი ნაწილი იყო და მაშასადამე, მისი ქონებაც მთელი ქართველი ერის კუთვნილებად უნდა გამოცხადებულიყო; ამიტომ, როდესაც საქართველო ეროვნულ თვითმართველობას მოიპოვებდა, ეს ქონებაც „სათვითმართველო მთავრობას უნდა გადაეცემოდა“.

კ. აფხაზს ისიც გააზრებული ჰქონდა, რომ ვიდრე თავადაზნაურთა საგანგებო კრებაზე იქნებოდა გატანილი ეს საკითხი, მანამდე იგი „მთელი

ქართველი ერის წარმომადგენელთა კრებას უნდა განეხილა“. საქართველოში იმჟამად ასეთ ეროვნულ ორგანოდ „ინტერპარტიული საბჭო“ ითვლებოდა.

კ. აფხაზის აზრით, თუ ინტერპარტიული საბჭო თავადაზნაურობის ქონებას მთელი ერის საკუთრებად გამოაცხადებდა, მაშინ მას მთელი ერი გამოეხმაურება და რუსეთის დროებითი მთავრობა ამ გარემოებას ყურადღების გარეშე ვერ დატოვებსო.

კომისიებთან მუშაობასთან ერთად, კ. აფხაზი უშუალო მოლაპარაკებებს აწარმოებდა ინტერპარტიულ საბჭოსთან. უსაბუთებდა მის წევრებს, რომ „თავადაზნაურობა, განსაკუთრებით კი უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში, ვიწრო წოდებრივობის გარეშე იდგა და რასაც აკეთებდა, მთელი ერის საკეთილდღეოდ აკეთებდა...“ და, აი ახლა, როდესაც იგი უნდა მოისპოს როგორც წოდება, მისი მხურვალე და გულწრფელი სურვილია – მთელი მისი მონაგარი ქართველი ერის ხელში გადავიდეს, როგორც ამ ერის საკუთრება.

ინტერპარტიულმა საბჭომ სწრაფად განიხილა კ. აფხაზის მიერ დაყენებული საკითხი და შემდეგი გადაწყვეტილება მიიღო: თუ ქართველი თავადაზნაურობა აღიარებს მთელ თავისი ქონებას ქართველი ერის საკუთრებად – საქართველოში მოქმედი ქართული პოლიტიკური პარტიები კისრულობდენ, რომ დაეცვათ ეს ქონება ყოველნაირი მოსალოდნელი საფრთხისაგან, როგორც ქართველი ხალხის ავლადიდება: „მხოლოდ, ვიდრე საქართველოში ეროვნული პოლიტიკური თვითმმართველობა დაწესდებოდა, თავადაზნაურობამ ხსენებული ქონება უნდა გადასცეს იმ ორგანოს განკარგულებაში, რომელსაც აირჩევენ ქართველი ხალხის წარმომადგენლები.“

გუბერნიის თავადაზნაურთა საკრებულომ გაითვალისწინა თავისი მარშლის მოსაზრებანი და გადაწყვიტა ამ საკითხის განსახილველად საგანგებო კრება მოეწვია 29-31 ოქტომბერს.

1917 წლის 29 ოქტომბერს თბილისში მუშაობას შეუდგა გუბერნიის თავადაზნაურთა საგანგებო კრება, რომლის განხილვის საგანი, როგორც გაზეთი „საქართველო“ მიუთითებდა: „თავადაზნაურთა საზოგადოების უძრავ-მოძრავ ქონების ბედი იყო“.

კრებამ მოისმინა საგუბერნიო მარშლის, თავად კ. აფხაზის წინასწარ აპრობირებული ვრცელი და დასაბუთებული მოხსენება. მოხსენების დაწყების წინ მან მოკლე სიტყვით მიმართა შეკრებილთ და აღნიშნა: „თავადაზნაურთა სადეპუტატო საკრებულო თქვენ წარმოგიდგენთ მოხსენებას იმის შესახებ, რომ ეს ქონება არ დაეკარგოს ქართველ ერს და ვთხოვთ ამ საგანს აუჩქარებლად და გულდასმით მოეპყრათ. აგრეთვე ვთხოვთ დასავლეთ საქართველოს თავადაზნაურობას და მთელ ქართველობას მხურვალე მონაწილეობა მიიღონ ამ საეროვნო საქმის სასურველად გადაწყვეტაში“.

საგანგებო კრებამ, გულდასმით განხილვისა და სათანადო ჩასწორების შემდეგ, მიიღო საკრებულოს მიერ წინასწარ შემუშავებული დოკუმენტი მასში ნათქვამი იყო: „ქართველ თავადაზნაურობას სრულიად შეგნებული აქვს ის დიადი საქმენი და მოწოდება, რომელნიც წინ უძევს ქართველ ერს და შეურყეველის რწმენით არის განმსჭვალული, რომ მხოლოდ ერის ყველა

ელემენტების შეერთებას და დემოკრატიულ ცენტრებთან შემოკრებას – შეუძლიან დაამყაროს საქართველოში ის პოლიტიკური წყობილება, რომელიც შეესაბამება მისს ისტორიულ უფლებათ და უკვე მომწიფებულ რეალურ ინტერესებს.

ამ რწმენით ალტკინებული თავადაზნაურობის კრება ადგენს:

1) ყველა უძრავ-მოძრავ ქონებას, რაც კი შეადგენს ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურობის კუთვნილებას, – როგორც წოდებრივ ორგანიზაციისას და აგრეთვე ყველა მისივე ქონებრივ უფლებათ და ვალდებულებათ, როგორც იმავე წოდებრივ ორგანიზაციისას, თავადაზნაურობა აღიარებს მთელის ქართველის ერის ავლადიდებად და გადასცემს საკუთრებად საქართველოს თვითმმართველობის საჯარო-უფლებრივ ორგანოს, როდესაც იგი დამყარდება.“

გამომდინარე აქედან, საგანგებო კრებამ დაადგინა: ასეთ ორგანოდ უნდა გახდეს საქართველოს ეროვნული ყრილობის მიერ არჩეული საბჭო.

2 ნოემბერს კ. აფხაზი შეტყობინებას უგზავნის საქართველოს ინტერპარტიულ საბჭოს, რომელშიც მიუთითებს: „გაახლებთ ამასთანავე ქართლ-კახეთის თავადაზნაურობის კრების დადგენილების პირს თავადაზნაურობის ქონების ქართველი ერის ავლადიდებად აღრიცხვის გამო და გთხოვთ კეთილინებოთ შრომა – რაც შეიძლება მალე მოწვეულ იქნას ხსენებულ დადგენილებაში განსაზღვრული ქართველი ერის წარმომადგენელთა საბჭო“.

1917 წლის 14 ნოემბერს საქართველოს ინტერპარტიული საბჭო თავადაზნაურობის საკრებულოს ატყობინებს: „თანახმად ქართლ-კახეთის საგუბერნიო საგანგებო კრების დადგენილებისა, საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭო იწვევს ეროვნულ ყრილობას ამა წლის 19 ნოემბერს ქ. თბილისში. ამ ყრილობას გარდა თავადაზნაურთა ქონების საქმისა დაეკისრება თანამედროვე საჭირობოროტო საკითხების გარკვევა და გადაწყვეტა.

იმავე ინტერპარტიული საბჭოს გადაწყვეტილებით, ეროვნულ ყრილობაში მონაწილეობას მიიღებდა თბილისის თავადაზნაურთა სადეპუტაციო საკრებულოს 12 წარმომადგენელი.

1917 წლის 19 ნოემბერს თბილისის სახელმწიფო თეატრის შენობაში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა, რომელსაც საქართველოს თითქმის ყველა კუთხის წარმომადგენელი, 320-ზე მეტი დელეგატი, ესწრებოდა. გარდა დელეგატებისა, ყრილობაზე მოწვეულნი იყვნენ სხვადასხვა ორგანიზაციების, პოლიტიკურ პარტიათა და სხვა წარმომადგენლები.

დღის 1 საათსა და 15 წუთზე ყრილობა გახსნა და ვრცელი საპროგრამო სიტყვა წარმოსთქვა ინტერპარტიული საბჭოს წევრმა აკაკი ჩხენკელმა. არჩეულ იქნა კრების პრეზიდიუმი ნოე ჟორდანიას თავმჯდომარეობით, რომელმაც თავის მოკლე სიტყვაში ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ „ყრილობის მოწვევის ხანა ახლა დადგა... რომ ჩვენი ერი პატარა არის და ვცხოვრობთ დიდი ფრონტის მახლობლად; ამიტომ დიდი სიფრთხილე გვმართებს ტალღებმა არ ჩაგვითრიონ...“

ეხლავე უნდა შეერთდნენ ძალები და მკიდრი საფუძველი ჩაუყარონ მომავალ ეროვნულ ცხოვრებას“.

დეკანოზმა ნიკიტა თალაკვაძემ წაიკითხა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის კირიონ II-ის გუჯარი, რომელიც ყრილობამ ფეხზე ადგომით მოისმინა.

„ხელთა შინა თქვენთა არს მომავალი ერისა ჩვენისა, თქვენ ხართ სასო და ხელისამპყრობელი მისი.

ღელავს და მძვინვარებს ზღვა ჩრდილოეთისა, სანაპიროსა თვისთაგან გადმოხეთქილი და წარღვნასა უქადის მრავალტანჯულსა ჩვენსა მხარესა და თქვენ რჩეულნო ივერიისანო, თქვენ უნდა იხსნათ სამშობლო განსაცდელისაგან, თქვენ უნდა განუსვენოთ მას, მიიყვანოთ ნავთსაყუდელსა მყუდროსა და დაამყაროთ მასში ძმობა. მშვიდობა, წესიერება და ბედნიერება, თქვენი ერთობა, ერთსულოვნება და ღლისა ვარამის განმსჭვრეტელობა წინილი არს იმისა, ვითარმედ „აღდგებიან მკვდარნი“. საქართველო გაცხოველდება და ქართველი ერი კვლავ აღბეჭდავს მატეანესა შინა კაცობრიობისასა საქმეთა თვისთა საგმიროთა. იყავნ, იყავნ!“ ნათქვამი იყო კათალიკოს-პატრიარქის მიმართვაში.

ეროვნული ყრილობის მიმდინარეობის შესამე დღეს ნ. ჟორდანიამ სიტყვა მისცა ქართლ-კახეთის თავადაზნაურობის წარმომადგენელს კ. აფხაზს.

ტრიბუნისაკენ მიმავალ კ. აფხაზს დარბაზი ტაშისკვრით მიაცილებდა. ეს უკვე მისი გარჯის დაფასებას ნიშნავდა. იგი ღინჯად, ღირსების მთელი გრძნობით მიმართავს შეკრებილთ: „მე წარმოვდექი თქვენს წინაშე თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის დავალებით, რათა გაუწყოთ თავადაზნაურთა ყრილობის დადგენილება, რომ მთელი თავადაზნაურობის ქონების ღირსეულ მემკვიდრედ გამოცხადებულ იქნას ქართველი ერი...“

ეს ქონება არ იყო მამა-პაპის მიერ შთამომავლობის დატოვებული, არამედ იყო თავადაზნაურობის მიერ შესაძენი ამ ორმოცდაათის წლის განმავლობაში“.

გამოსვლის დასასრულს კ. აფხაზი ყრილობას აცნობს ზემოთ მოტანილ 29 ოქტომბრის საგანგებო კრების დადგენილებას მთელი თავისი ქონების ქართველი ერისათვის გადაცემის შესახებ და დაბეჯითებით აცხადებს: „თავად-აზნაურების ნაბიჯი, მუხლის მოღრეკა კი არ არის, არამედ მისაღმებაა ქართველი ერისადმი“.

ორატორის ამ სიტყვებს ხანგრძლივი ტაში მოჰყვა.

ნოე ჟორდანიამ, ეროვნული ყრილობის სახელით, მადლობა გამოუცხადა ქართველ თავადაზნაურობას და აღნიშნა: „საქართველოში პრივილეგიური წოდება აღარ არსებობს. ამიერიდან ქართველი ერი იურიდიულად შეიქმნა ერთი მთლიანი და ეს იქნება მერმისის საფუძველი“.

ეროვნულმა ყრილობამ აირჩია ხელმძღვანელი ორგანო – ეროვნული საბჭო 67 კაცის შემადგენლობით, რომელშიც იმჟამად საქართველოში მოქმედი ყველა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი შევიდა.

ეროვნულ საბჭოში კ. აფხაზი და კ. მაყაშვილი შევიდნენ, როგორც უპარტიოთა კავშირის წარმომადგენლები.



კ. აფხაზის აქტიური მონაწილეობით რამდენიმე თვის მანძილზე მიმდინარე ეს დიდი ეპოპეა, 1917 წლის 11 დეკემბერს ამიერკავკასიის კომისარიატის მიერ მიღებული დეკრეტით დამთავრდა, რომელიც ქართველი თავადაზნაურობის ქონების საქართველოს ეროვნულ საბჭოს ხელში გადასვლას ადასტურებდა.

ამიერიდან კ. აფხაზის მთელი ძალისხმევა საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვების, მისი განმტკიცებისა და შენარჩუნებისაკენ არის მიმართული. ეროვნული საბჭო კი ის საასპარეზოა, სადაც მისი შესაძლებლობების რამდენადმე რეალიზაცია ხდება. თუმცა თავისი იდეოლოგიური მრწამსით უმცირესობაში მყოფს, მას მუდამ უჭირდა ურთიერთობა სოციალისტური პარტიების წარმომადგენლებთან, რაც გარკვეულ დისკომფორტს უქმნიდა.

ხშირად მის ბრძნულ, დარბაისლურ და საქმის ცოდნით გამოთქმულ მოსაზრებებს მმართველი პარტიის, – სოც.-დემოკრატების მიერ აღმართული ჯებირი ელობებოდა წინ. ასე იყო იგივე ეროვნულ საბჭოში. ასე გრძელდებოდა შემდგომშიც – საქართველოს დამოუკიდებლობის წლებშიც.

## X X X

თავის სამშობლოს ბედზე დაფიქრებული კ. აფხაზი გამუდმებით თვალყურს ადევნებდა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს, აკეთებდა დასკვნებს და როგორც კი საშუალება ეძლეოდა, საქვეყნოდ აცხადებდა თავის ნაფიქრ-ნააზრებს. მაგალითად, ასეთ ღირებულ ნააზრევად მიმაჩნია 1918 წლის 26 მარტს საქართველოს ეროვნული საბჭოს XI-ე საგანგებო, დახურულ სხდომაზე მისი გამოსვლა. დღის წესრიგში უმწვავესი – თურქეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხი იდგა. უმთავრესი, რაზედაც გამომსვლელები ყურადღებას ამახვილებდნენ იყო – ეწარმოებინა თუ არა საქართველოს ომი თურქეთთან, თუ სხვა გზა ეძებნა?!

კ. აფხაზი, როგორც გამოცდილი და მაღალპროფესიონალი პიროვნება ორჯერ გამოდის სიტყვით და თავის პოზიციას აცნობს შეკრებილთ... „აქა სთქვეს, რომ ომი ისედაც სწარმოებსო (გულისხმობს თურქეთთან – გ. ს.) მხოლოდ ულტიმატუმის შესახებ (საუბარია იმ ულტიმატუმზე, რომელიც ოსმალეთმა წაუყენა ამიერკავკასიის კომისარიატს, რათა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებით მისთვის მინიჭებული ტერიტორიები გადაეცათ – გ. ს.) იგი ფორმალურ სახეს მიიღებსო. ეს არ არის მართალი. დღევანდლამდე ოსმალეთი ბრძოლით წინ მიიწევს, რათა ის ადგილები დაიჭიროს, რომელიც ბრესტ-ლიტოვსკის ზავით მას უნდა გადაეცეს. სულ სხვა მდგომარეობა შეიქმნება, როდესაც საქართველო მას ომს გამოუცხადებს. მაშინ ოსმალეთი გადმოლახავს ჩვენის ქვეყნის იმ საზღვრებსაც, რომელიც ხსენებულ ზავის პირობებით განსაზღვრული არ არის და ჩვენს ტერიტორიაზეც შემოიჭრება; რაც შეეხება თვით ომის წარმოებას, გავბედავ და ჩემის სინიღისის წინაშე, განვაცხადებ, რომ ყოვლად შეუძლებელია საქართველომ ომის განგრძობა მოახერხოს. ეს იქნება

დედამიწის რუქიდან მისი მოსპობა. და რადგან სამშობლო ქვეყნის სიყვარული არავის მონოპოლიას არ შეადგენს და მეც შემიძლიან ამ გრძნობის თანაზიარი ვიყო, - ვეცდები ეს ჩემი აზრი ომის შეუძლებლობის შესახებ დავასაბუთო.

მოგესხნებათ, საერთოდ ომი უკანასკნელი სამსახურთაგანია ამა თუ იმ სახელმწიფოს თავდაცვისა და, რაღა თქმა უნდა, მთავრობა მას უკიდურეს გარემოებაში თუ მიმართავს.

ჩვენს დროს ომი სულ სხვანაირად სწარმოებს, ვიდრე ეს წინათ იყო. მაშინ მარტოოდენ ჯარზე იყო დამოკიდებული. XIV-XVII საუკუნეებში, ორივე მხარის ჯარი ერთ ადგილს შეიყრებოდა. მათ შორის ომი მოხდებოდა და სადაო საკითხიც ამით სწყდებოდა. ახლა ომს ერი აწარმოებს. მთავრობას ამისათვის ყველაფერი წინასწარ გათვალისწინებული აქვს ხოლმე. ჩვენ კი აქამდის არამც თუ კორპუსი ვერ შევადგინეთ, ერთი მთლიანი პოლკიც არა გვყავს. არიან მხოლოდ ოფიცრები, ჯარი კი არ არის საარტილერიო ბრიგადაში თითო „ზვოლია“. სურსათი, თოფი, იარაღი, - იცით რა მდგომარეობაშია ამ მხრივ? იცით, რომ ჯარში დარიგებულ თოფებიდან 10% მოშლილია და ტეხნიკოსები არ არიან რომ შეაკეთონ.

შემდეგი მთავარი საგანი ფინანსებია. ჰკითხეთ ფინანსთა მინისტრს გააჩნია რამ? ჰკითხეთ საგარეო მინისტრს, - რა განწყობილებაა მეზობელ ერთა შორის. ვერაფერს გეტყვით, რადგან დღეს ერთიანი ვითარებაა, ხვალ მიმართეთ შინაგან საქმეთა მინისტრს: რა სულიერი განწყობილებაა, რა ერთსულოვნებაა ხალხში, პროვინციაში... არა მგონია სანუგეშო ვითხრათ რამე. გახსოვდეთ, რომ რევოლუცია ჯერ არ გათავებულა; მოსალოდნელი ეტაპები: ბოლშევიზმი, კომუნა, ჯერ კიდევ წინ გვიდევს.

სამხედრო მინისტრი აცხადებდა: ხალხში დიდი აღფრთოვანება არისო. გრომად არ ვარგა ეს აღფრთოვანება. სულ სხვა იყო წინანდელი ქართველების აღფრთოვანება! მათ სულიერ აღფრთოვანებას თან ახლდა წადილი, სიმტკიცე, ახლა კი დიდის აღფრთოვანება შუადღემდე თუ გაჰყვა, დიდი საქმე იქნება, განსაკუთრებით თავის დროზე თუ სადილს არ აჭმევთ. ამის გარეშე, საკმარისია, ერთი ყუმბარა გასკდეს და გაიფანტებიან. ასეთია, სამწუხაროდ, ჩვენი ახლანდელი ფსიხიკა. აღფრთოვანებით ვერას გავხდებით. საჭიროა თითოეული ცალ-ცალკე და ყველა კი ერთად, - მთელი ხალხი; ყველა წამს ომის საჭიროებაზე ფიქრობდეს. რა დასკვნაა ყველა ამისა? ის, რომ დიდ განსაცდელში ჩავაგდებთ ჩვენს ქვეყანას. ეს მით უფრო უეჭველია, რომ სტატეგია, რომლითაც ჩვენ ვაპირებთ ომის წარმოებას, პირდაპირ ამის მაჩვენებელია. ჩვენ ვაპირებთ ერთის ადგილის გამაგრებას, სახელდობრ - ბათუმისას. მაშინ, როდესაც მთლიანი ფრონტი არ არსებობს და გზა ყოველმხრივ ხსნილია და ადვილად შესაძლებელია მტერი ბათუმს არც კი მიუახლოვდეს და მაინც გაუჭირვებლად აიღოს იგი. მტერი შეიძლება ყარსიდან წამოვიდეს, სხვა გზები გადასჭრას, მაგალითად გუმბრისა და ტფილისში ამოჰყოს თავი. მერე რას ნიშნავს ბათუმის დაცვა, ისიც ერთის ერის მიერ? მაშ, - მეტყვიან მე, - ბრესტ-ლიტოვსკის ზავის პირობები მივიღოთ და ოსმალეთი - ბათუმში შემოვუშვათ... შევიძუშაოთ ეს საკითხი და საერთაშორისო

კონფერენციაზე გავიტანოთ ჩვენი უსამართლოთ დასჯილი ქვეყნის ბედილბლის და თუ ძალას დავადგებით, ადვილად შესაძლებელია მოგაბრუნოთ ის მდგომარეობა ჩვენის ქვეყნისა, რომელშიაც იგი ამ ორ საუკუნის წინათ იყო. მერე აქვს ჩვენს დღევანდელ მთავრობას მორალური უფლება ასეთი ნაბიჯი გადადგას, რომელიც სიცოცხლეს მოუსპობს ჩვენს ქვეყანას? ამის შიში კი უეჭველად არის!

გვანხოვდეს, ჩვენ წარმავალნი ვართ, ერი კი სამუდამოა. იცოდეთ, თუ ამ ნაბიჯს გადავდგამთ, რუს მეფეს დავემსგავსებით, რომელსაც თავი „ხოზიაინომ რუსკოი ზემლი“ ეგონა და როგორც გადასდგა საბედისწერო ნაბიჯი, რომლითაც მხოლოდ დაღუპა ქვეყანა.

დასასრულს წინააღმდეგობას ვაცხადებ, იარაღი მოვიხმაროთ ოსმალეთის წინააღმდეგ“.

საინტერესოა კ. აფხაზის გამოსვლა საქართველოს სახელმწიფო მოწყობის საკითხებზეც. „უნდა მოგახსენოთ, რომ მე თავმჯდომარის განცხადება ვერ შევითვისე, ასე დაიწყო თავის გამოსვლა კ. აფხაზმა, - თავმჯდომარემ ბრძანა: ორატორებს ნება აქვთ ილაპარაკონ მართო კონფედერაციასა და ფედერაციის შესახებო. მე მსურს მალაპარაკოთ საერთოდ სახელმწიფოებრივ წესწყობილებაზე. ვინაიდან სრულებით მეცნიერულად არ იყო დასაბუთებული, რომ ჩვენ ეს ან ის წყობილება უნდა მივიღოთ... მეცნიერება სახელმწიფო სამართლის შესახებ (Государственное право) გვეუბნება, რომ როდესაც ახალი სახელმწიფოებრივი წესწყობილების შემოღება სურთ – ამ საკითხს ისტორიულის, ეთნოგრაფიულის და ეკონომიურის თვალსაზრისით უნდა სჭრიდნენ. ამიტომ თუ საერთო-სახელმწიფოებრივ წეს-წყობილებაზე ლაპარაკის ნებას მომცემთ, სიტყვას განვაგრძობ, თუ არა და იძულებული ვიქნები არ ვილაპარაკო...“

თავმჯდომარე: ბრძანეთ, ბრძანეთ...

კ. აფხაზი - „იმ ორ ფორმას, რომელთა შესახებ აქ იყო ბაასი, მე გვერდი უნდა ავუხვიო, რადგან მათ შესახებ წარმოდგენილ მოხსენებებს, ჩემის რწმენით, ის ნაკლი ჰქონდათ, რომ მათი წაკითხვა შესაძლებელია, როგორც საქართველოს ეროვნულ საბჭოში, ისე თურქესტანსა თუ ციმბირში, მხოლოდ ადგილობრივ ენაზე.

მოხსენებაში დასაბუთებული არ იყო ქართველი ერის რაიმე პერსონალური ან ინდივიდუალური თვისებისა. მოიყვანეს ფორმა და ამ ფორმაზე იყო აწონილ-დაწონილი ყველაფერი. მე მსურს დავასურათო, თუ რა პირობებში ვართ, რომ ეხლა სახელმწიფოებრივი წეს-წყობილება შემოვიღოთ და ამ პირობების მიხედვით რა ფორმა უნდა გამოინახოს. უნდა ვიკითხოთ: როგორ და რა პირობებში გამოცხადდა დღევანდელი ფედერაციული რესპუბლიკა (გულისხმობს ამიერ-კავკასიის ფედერაციას – გ. ს.). წარსულ კრებაზე ამიერკავკასიის რესპუბლიკის დაარსება ისეთ ჭეშმარიტებად მიიჩნიეს, თითქოს ამ რესპუბლიკის დაასრებაში არავის ეჭვის შეტანა არ შეეძლო. ამიტომ მე მსურს დღევანდელ ფედერაციული რესპუბლიკის შესახებ მოგაგონოთ მისი მოკლე ისტორია. აქ მოგვიხდება მოკლედ ამბების გახსენება ნოემბრიდან დაწყებული აქამდის.

ნოემბრიდან ჩვენ ველოდით რუსეთის დამფუძნებელ კრებას. ველოდით რა ზავი ჩამოეგდო, რა კანონები უნდა გამოემუშავებინა. ავირჩიეთ დელეგატები, გაგვზავნეთ. შემდეგ ვიცით რა მდგომარეობაში ჩავარდით. დავაარსეთ ჩვენი მმართველობა – სეიმი. ახლა ტრაპიზონის საზავო მოლაპარაკებაა. მაშინ ოსმალეთის ლაშქარი ჯერ კიდევ ერძინჯანში იდგა. შემდეგ ერძინჯანიდან იგი თანდათან გვიახლოვდებოდა და ოსმალეთის ლაშქრის ამ მოახლოებამ აიძულა სეიმი, რომ ამიერკავკასია ფედერაციულ რესპუბლიკად გამოეცხადებინა. მაშასადამე, ამიერკავკასიის ფედერაციულ რესპუბლიკად გამოცხადება მოხდა ძალდატანებით. ეს წეს-წყობილება არ არის გათვალისწინებული ხალხის სურვილების მიხედვით.

მე არ ვძრახავ მაშინდელ მთავრობას, რადგან დროთა ბრუნვა ისეთი იყო, ფედერაციული რესპუბლიკა დაარსდა იმათი ხელით, ვინც ცხოვრებამ აქამდე მიიყვანა, რომ თავიანთ გზას გადაახვევინა...

ჰქონდათ თუ არა სეიმის წევრებს მორალური ან ფორმალური უფლება, რომ ამიერკავკასიაში ეს სახელმწიფოებრივი წეს-წყობილება შემოეღოთ? ამისათვის ვიკითხოთ:

1. როდის იყვნენ არჩეულნი სეიმის წევრები? (პასუხი საჭირო არ არის, რადგან ყველა თქვენგანმა იცის).

2. ვისგან იყვნენ არჩეულნი? (არც ამაზეა საჭირო პასუხი).

3. რისთვის იყვნენ არჩეულნი? – რუსეთის დამფუძნებელი კრების შესადგენად.

ნება-უნებურად უნდა დამსხვრეულიყო ის ლოზუნგები, რომელიც ჩვენ სათაყვანებელი გაგვხდომია, მაგრამ აქაც არავის ბრალი არ მიუძღვის. ეს მოსაზრებები მე მაიძულებენ დავსვა ასეთი კითხვა: საჭიროა თუ არა ჩვენი ქვეყნისათვის ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკი დაარსება და თუ საჭიროა, - მაშინ შეიძლება თუ არა ამიერ-კავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის დაარსება? მე ბოლო კითხვას პირველად შევეხები.

ფედერაციისათვის საჭიროა ცალკეული ერთეულები. ყველგან ასე ყოფილა: ჯერ ერთეულები ყოფილან და მერე ეს ერთეულები შეერთებულან. გამოსულა ფედერაცია. მაშასადამე ფედერაციის შესაქმნელად საჭიროა ორი პროცესი: პირველი, ცალკე ერთეულების დაარსება, მეორე, ცალკე ერთეულების კავშირათ შეერთება.

მაშასადამე, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ერთეულების გაჩენა. როგორ უნდა გაჩნდეს ეს ერთეულები?

წინაღ ამ კრებაზე ბრძანეს: ერთეულების შესაქმნელად საჭიროა მხოლოდ ტერიტორიალური გადამიჯვნაო; მაგრამ მოგეხსენებათ, რომ ერთეულების შექმნა არ არის იმდენად ტერიტორიის, რამდენადაც იგი ეთნოგრაფიული საკითხია. ჯერ ისევ ძველი რეჟიმის დროს, როდესაც მთავრობის დადგენილებანი ერთი ბრძანებით სრულდებოდა, ვერ შეძლეს ერობის შემოღება და, რა თქმა უნდა, ასეთივე ბედი ეწვეოდა ამიერკავკასიის მთავრობის ამ დეკრეტს, სადაც აღნიშნულია, რომ ერობის შემოღება ერთ თვეში უნდა განხორციელებულიყო. ახლა ჩვენ სახელმწიფოებს ვაარსებთ და საკითხს ისე ვუხვევთ გვერდს,

თითქოს წინ ჭადრაკის ფიცარი გვიდგეს და პაიკების წაწევ-წამოწევა იყოს საჭირო მის გადასაწყვეტად. მოიგონეთ რა წინააღმდეგობას შევხვდით სომხების მხრივ, თუ მაჰმადიანებს დააკამაყოფილებდით. მოიგონეთ რამდენ ჭირსა და ვარამს დაატეხენ საქართველოს თავს სომხები; ხოლო თუ ისე არ გადავწყვიტეთ საკითხი, როგორც თათრებს უნდათ, მაშინ საქართველო ოსმალეთის რისხვას ვერ აიცდენს. კახეთიც იხილავს ლეკების სისასტიკეს.

ამიტომ შეეჭვება, რომ შეგვეძლოს ამიერკავკასიაში ერთეულების შექმნა.

თვით ფედერაცია, როგორც სახელმწიფო წეს-ჩვეულება, ჩვენს ქვეყანაში, მე ფიქციად მიმაჩნია. ფედერაციაში შესვლით უნდა ძლიერდებოდეს ჩვენი პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო მხარე. ერთი მიბრძანეთ, რა ძალას შეიძენს ჩვენი მხდალი ჯარი, როდესაც გვერდით იყოლიებს სომხების, ან თათრების მხდალ ჯარს; ან სომხებს რა პოლიტიკური ძალა აქვთ, რომ მათ რაიმე შეგვიძინონ?!

ამასთან ბატონებო, ისიც უნდა მოგეხსენებოდეთ, რომ ღღესვე თათრები ოსმალეთისაკენ იცქირებიან. ამიტომ ვშიშობ, ვაი თუ ამიერკავკასიის ფედერაციაც ექსპერიმენტად გაუხდეს ქართველ ერს. ამ ექსპერიმენტებს ნაჩვევი ვართ. მთელი რუსეთი ლაბორატორიად გახადეს და მონდომეს მისი გამოკვლევა, თუ რა უფრო მოუხდებოდა 140 მილიონიან ხალხს. მე მემინია, ასეთ ექსპერიმენტად არ გაუხდეს ქართველ ხალხს თქვენი ფედერაცია.

ეს სახელმწიფოებრივი ფორმა იქნება გამოგონილი, ხელოვნური. იგი სრულებით არ შეეფერება ჩვენს ხალხს, მის წარსულს და არც მის აწმყოს.

როგორც ხალხი ზრდას, ისე სახელმწიფოს თავისი სოციალური კანონები აქვს. თუ ამ კანონებს დაარღვევთ, სხეული ვერ შეძლებს არსებობას. როგორც ბუნებრივი კანონის დარღვევა ყოვლად შეუძლებელია, ასევე შეუძლებელია იმ სოციალური კანონების დარღვევა, რომელიც ზრდის ხალხს.

ამასთან ისიც აღსანიშნავია, რომ ფედერაციის შექმნა შეძლეს გერმანელებმა, რომაელებმა და აგროსაქსებმა (არიის რასამ). მონგოლთა რასამ არ იცის რა არის ფედერაცია. ფედერაცია არ იციან არც სლავიანებმა. აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ ჩვენ ისტორიულად გვეუცხოება ფედერაცია. კახეთს და ქართლს, იმერეთისა და გურიას ვერ მოეხერხებინათ შეკავშირება. თვით ბალკანეთის სახელმწიფოში სამი თუ ოთხი ერთეული იყო. ბევრჯერ სცადეს შეკავშირება – სხვებიც ეხმარებოდნენ მათ, მაგრამ ვერ მოახერხეს. ალბათ თვითონ ხალხის ბუნებაში არის ისეთი, ჯერ მეცნიერულად გამოურკვეველი რამ, რომელიც მათ შეკავშირების ნებას არ აძლევს. ჩვენი ნატვრა იქნებ ამ ომმა, ან რევოლუციამ მოგვანიჭოს სრული თავისუფლება და თავისუფლად ამოვისუნთქოთ. ჩვენ მგონი ამ საზღვარმდის მივალწიეთ. ჩვენი პირი უნდა დასავლეთისაკენ იყოს მიქცეული. ჩვენი პირი შავი ზღვისაკენ უნდა იყოს მიქცეული და ჩვენ უნდა შევქმნათ უნიტარული სახელმწიფო.

თუ ამას მოვესწრები, შემდეგ ვილაპარაკებ იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოვაწესრიგოთ საქმე მეზობლებთან“.

კ. აფხაზი უდიდესი სიხარულით შეხვდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას. ამდროისათვის იგი „უპარტიოთა კავშირის“ თავმჯდომარე იყო და საბჭოში უპარტიოთა ფრაქციას ხელმძღვანელობდა.

კ. აფხაზს, როგორც ეროვნული საბჭოს წევრს, აქტიური მონაწილეობა მიუღია „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის“ შემუშავებაში. ამასთან დაკავშირებით, დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის ყოფილი იუსტიციის მინისტრი რაჟდენ არსენიძე მოგვიანებით იგონებდა: „ვის სცალოდა იმ ჟამად კომისიის საქმეების (გულისხმობს „დამოუკიდებლობის აქტის“ შემუშავებელ კომისიას – გ. ს.) ოქმების შედგენაზე და მათ შემოწმებაზე ფიქრი და ზრუნვა: იწერებოდა კი, მაგრამ არ ვიცით ინახება იგი სადმე თუ გადაყლაპა დროთა უკუღმართობამ... ამიტომ გაწვდით ამ ცნობებს. იმათგან ამ აქტის, აწ ისტორიულ აქტად ქცეულის, შედგენაში და გამოცხადებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს და რომელთა სახეები მეხსიერებამ შემოინახეს, აღარავინ მეგულება ცოცხალთა შორის. თითქმის ყველა ჩვენს წინაპართა პანთეონს შეუერთდა. ამათგან ორი სახელი მინდა მოვიხსენიო: კოტე აფხაზი, დიდი გონიერი პატრიოტი, რომელიც ინიციატორი იყო თავადაზნაურობის მთელი ქონების ქართველი ერისთვის გადაცემის, რითაც მოუმზადა ნივთიერი და ორგანიზაციული საფუძველი ჩვენი ერის აღორძინებას. მან წამებით დაიდგა უკვდავების გვირგვინი საქართველოს 26 მაისისათვის ბრძოლაში“.

როგორც ცნობილია, დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ეროვნული საბჭო, ეროვნულ პარლამენტად იქცა. პარლამენტის დამოუკიდებელ ფრაქციაში, მართალია, მხოლოდ ორი კაცი – აფხაზი და მაცაშვილი შედიოდა, მაგრამ მათ, როგორც იტყვიან, თავიანთი წონა ჰქონდათ და ყველა პრინციპული საკითხის განხილვისას თავის ანგარიშგასაწევ მოსაზრებებს გამოთქვამდნენ...

1918 წლის 19 ნოემბერი. საქართველოს პარლამეტი იხილავს კანონპროექტს „სამღვრთო სჯულის სწავლების შესახებ“ (მომხსენებელი ლეონათაძე, სოც-დემოკრატი)... განხილვა საკმაოდ დაძაბულად მიმდინარეობს. ეს გამოწვეულია იმით, რომ სოციალ-დემოკრატები თავისი იდეოლოგიიდან გამომდინარე, რელიგიისადმი მაინცდამაინც დიდ ღმობიერებას არ იჩენენ. წარმოდგენილი სახით კანონპროექტის მიღება განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აგდებს მართლმადიდებლობას, სხვა აღმსარებლობებთან შედარებით. კ. აფხაზი წინააღმდეგია ასეთი კანონის მიღებისა და დაბეჯითებით ასაბუთებს თავის შეხედულებას: „წარმოდგენილი კანონ-პროექტი სპობს სჯულის სწავლებას. იმ სახით, როგორაც ის არის წარმოდგენილი, ჩემთვის სრულიად მიუღებელია. მე არ შევეცდები დავიცვა ქრიტიანული მოძღვრება, მაგრამ სამღვრთო სჯულის სწავლებას სხვადასხვა ეპისტოლეები და ტექსტის დაზეპირება რომ ჩამოვაცილოთ, ჩვენ დაგვრჩება ის ღრმა ფილოსოფიური მეცნიერება, რომლის შესწავლა უსათუოდ საჭიროა ადამიანის განვითარებისათვის. განა ერთობა, ძმობა, თავისუფლება არ არის საძირკველი ამ მოძღვრებისა?... ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, რომ ამ ანარქიამ, რომელიც ჩვენში

მძინვარება, ძირიანად დასცა ზნეობრივი მხარე ჩვენის ერისა და იმ მხარეს კი სახელმწიფომ დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს.

სინოდი თავისუფალი უნდა იყოს: იგი წყაროა ადამიანის გრძნობათა და მოქმედებათა და სახელმწიფოს დიდი ყურადღება მართებს ამ ზნეობის აღდგენისათვის.

დღესდღეობით რა საშუალებაა ამისათვის?

ოჯახი, ეკლესია და სკოლა.

ავილოთ ინტელიგენტის ოჯახი. მომიტევეთ, მაგრამ იმ მხარეს დიდი ადგილი არ აქვს დათმობილი. მართალია, აქ ასწავლიან ადგომას, დაჯდომას, ჭამას, სმას, მაგრამ ზნეობრივი განვითარებისათვის იქ ნაკლებად ზრუნავენ. გლეხის ოჯახშიც უკვე აღარ არის ეს მხარე ძველ სიმაღლემდე ასული.

ავილოთ ეკლესია: უნდა გამოვტყდე და ვთქვა, რომ ჩვენმა სამღვდელოებამ ვერ შეძლო თავისი დანიშნულების გამართლება. მოყვასისათვის თავდადება ვერ გაბედეს ჩვენმა მღვდელმთავრებმა მაშინაც კი, როდესაც მთელი საქართველო ანარქიის ცეცხლში იყო გახვეული და სამღვდელოებამ ხალხში ჯეროვანი ავტორიტეტი ვერ მოიპოვა. სანამ ჩვენს ეკლესიაში ღრმა ცვლილებები ვერ მოხდება, ჩვენ არ შეგვიძლია მივინდოთ მას ასეთ დიდ საქმეში.

დარჩა სკოლა და ზნეობა იქედანაც გსურთ განდევნოთ?

ადამიანებს რომ გულიდან სარწმუნოებას აღმოუფხვრით, რაღა დარჩება იქ? სანამ ჩვენი განათლების სამინისტრო ჩვენი სკოლებისათვის მორალის სწავლების საკითხს შეიმუშავებდეს და მას საყოველთაოდ გახდიდეს, მე ვითხოვ, რომ სამღვრთო სჯულის სწავლება უსათუოდ დასტოვოთ.

შემდეგ?

მუსულმანებისათვის ეს საკითხი რათ იქნება ის, როგორც მომხსენებელმა სთქვა, არ ვიცი? თუ სპობთ სჯულის სწავლებას მართლმადიდებლებისათვის, მაშ რად სტოვებთ მას მუსულმანთათვის?

რომელი ქველმოქმედება არის ეს?

სახელმწიფო მოვალე არის დღესდღეობით სჯულის სწავლების საკითხი დადებითად გადასწყვიტოს და ამის მიხედვით მე შემომაქვს შემდეგი წინადადება:

1. არც ერთ სასწავლებელში სამღვრთო სჯულის სწავლება სავალდებულო არ არის.

2. ხოლო თუ მშობლები მოისურვებენ ბავშვებისათვის სამღვრთო სჯულის სწავლებას, სახელმწიფო მოვალეა ამისათვის საჭირო ხარჯი გაიღოს.

ეს რაც შეეხება კანონ-პროექტს.

ამას გარდა მე მივმართავ პარლამენტს, რომ მან გამოსთქვას სურვილი, რათა განათლების სამინისტრომ მიიღოს საჭირო ზომები, საქართველოს სკოლებში მორალის სწავლების შემოღებისათვის“.

1919 წლის მარტში გამართულ დამფუძნებელი კრების არჩევნების დროს, კ. აფხაზი, როგორც მცირერიცხოვანი პარტიის წარმომადგენელი, საკანონმდებლო ორგანოს მიღმა დარჩა... თუმცა ამის გამო იგი არ გაბოროტებულა და საქვეყნო საქმეების კეთებაზე ხელი არ აუღია.

სოციალისტ-დემოკრატებმა, მიუხედავად არჩევნებში დიდი უპირატესობით გამარჯვებისა, ვერ შეძლეს ქვეყნის განვითარებისათვის სწორი გზის გამონახვა. პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისი ყოველდღიურად სულ უფრო და უფრო ღრმავდებოდა და სავალალო შედეგები სახეზე იყო.

ამ ვითარებაში, მთავრობის პოლიტიკით უკმაყოფილო არასოციალისტურმა პარტიებმა პოლიტიკური კონსულტაციების შემდეგ გადაწყვიტეს გაერთიანებულიყვნენ. გარკვეული მოსამზადებელი სამუშაოების შემდეგ დღის წესრიგში დადგა გადაწყვეტილების პრატიკულად რეალიზაციის საკითხი.

ეს დღეც დადგა: 1921 წლის 23 იანვარს, კვირას, თბილისის ქალაქის საბჭოს შენობაში, გაიხსნა საქართველოს არასოციალისტური პარტიების გაერთიანებული კონფერენცია, რომელზეც წარმოდგენილნი იყვნენ ეროვნულ-დემოკრატიული, რადიკალურ-დემოკრატიული, ეროვნული, გლეხთა პარტიები და უპარტიოთა კავშირის დელეგატები.

კონფერენცია ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნების შემდეგ მუშაობას შეუდგა.

აღსანიშნავია, რომ კონფერენციის პრეზიდიუმის დავმჯდომარედ სპ. კედიასთან, აღ. ასათიანთან, გრ. ვეშაპელთან და სანდრო შანშიაშვილთან ერთად არჩეულ იქნა კ. აფხაზიც, ხოლო მდივნებად: იასონ ჯავახიშვილი, მიხ. იმხნელი და მიხ. ჯავახიშვილი (მწერალი).

კონფერენციის მონაწილეებმა მოისმინეს და განიხილეს მოხსენებები: სოფლის მეურნეობის შესახებ – შ. ქარუმიძისა, ვაჭრობა-მრეწველობის შესახებ – ტ. მარგველაშვილისა, ფინანსური კრიზისის შესახებ – კ. აფხაზისა, ახლადშექმნილი დემოკრატიული პარტიის პროგრამის შესახებ – აღ. ასათიანისა და სხვ.

კონფერენციამ პარტიის მთავარი კომიტეტის შემადგენლობაში 36 კაცი აირჩია: მათ შორის – ნიკო ნიკოლაძე და ვასილ წერეთელი საპატიო თავმჯდომარეებად, ხოლო წევრებად – სპ. კედია, გრ. ვეშაპელი, გ. გვაზავა, აღ. ასათიანი, ი. მაჭავარიანი, შ. ქარუმიძე, პარ. გოთუა, კოტე აფხაზი, რაფ. ინგილო (ივანიცკი), შ. ამირეჯიბი, რ. გაბაშვილი, დ. ვაჩნაძე, ივ. ზურაბიშვილი, კოტე ტყავაძე, იას. ლორთქიფანიძე, აღ. ახმეტელი, სერგო დანელია, ტიტე მარგველაშვილი, გ. წინამძღვრიშვილი და სხვ.

საქართველოს დემოკრატიული პარტიის მუშაობა შეაჯამა აღ. ასათიანმა, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა პარტიათა გაერთიანების უდიდესი მნიშვნელობა საქართველოს დამოუკიდებლობის გზით წინსვლის საქმეში.

კონფერენციამ მიიღო პარტიის პროგრამა და ორი მისასაღმებელი წერილი: ერთი საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის – ნოე ჟორდანიას სახელზე, ხოლო მეორე, – თბილისის უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოსა და სტუდენტთა გამგეობის მისამართით. წერილებს სხვებთან ერთად ხელს აწერდა კ. აფხაზიც.

კ. აფხაზი ძალზე აქტიურად მონაწილეობდა ხსენებული კონფერენციის საქმიანობაში: თავმჯდომარეობდა მის ცალკეულ სხდომებს, მონაწილეობდა ცალკეული დადგენილებების შემუშავებაში, ხოლო 1921 წლის 27 იანვარს



ძალზე საინტერესო მოხსენებით გამოვიდა რესპუბლიკის ფინანსური კრიზისის შესახებ.

კ. აფხაზის აზრით, მძიმე კრიზისულ მდგომარეობაში ჩავარდნილი ქვეყნის გამოსაყვანად საჭირო იყო:

1. განსაკუთრებული განმტკიცება კანონიერებისა და ხალხის უფლებრივი მდგომარეობისა, რომ სახელმწიფომ აწარმოოს საღი და მთლიანი მეურნეობა: ამიტომ აუცილებელია სოფლად და ქალაქად მეტი სისწრაფით დაკანონდეს წესრიგი ადგილობრივ თვით მართვა-გამგეობებისა, მათი უფლებანი და მოვალეობანი. საერთო ხელმძღვანელობა და კონტროლი, ეკონომიკური ცხოვრების მოსაწყობად; ჯერჯერობით, ცენტრში – მთავრობის ხელში უნდა გადავიდეს კანონმდებლობის წესით;

2. პროვინციის ცხოვრებისა და სასოფლო მეურნეობის მოსაწყობად, მთავრობა ერობისა და ქალაქის ცენტრების დახმარებით, შეადგენს სრულიად საქართველოსათვის ერთ გეგმას იმის და მიხედვით, თუ რომელი პროვინციის საჭიროებანი რა დროს და რა რიგით დაკმაყოფილდეს, რათა პროვინციის მცხოვრებნი ეკონომიურ ურთიერთობით მეტად შეკავშირდნენ და გაიადვილონ თავიანთი მეურნეობის წარმოება;

3. დღევანდელი საფინანსო მეურნეობა მოითხოვს ულმობელი ღონისძიებების ცხოვრებაში გატარებას, სახელმწიფოს განწირულ მდგომარეობიდან რამდენადმე მაინც დასახსნელად; ამიტომ თავიდანვე უნდა შევებრძოლოთ მეთოდურად ბიუჯეტის დეფიციტს. ყოველის ღონისძიებით შევამციროთ იგი. დეფიციტი, ნიშნავს, რომ სახელმწიფოს განზრახ სურს ხარჯოს იმაზე მეტი, რაც სახსარი აქვს, რომ მან (სახელმწიფომ) დააწესა ისეთი მუდმივი მოთხოვნილებანი, რომელთაც ვერ აკმაყოფილებს ხალხის გადასახადი. ამის გამო მთელი დღევანდელი ხარჯების სიმძიმე გადაიტანა მომავალი თაობის მხრებზე; ავიწყდება, რომ თაობას უფრო მეტი მოთხოვნილება ექნება ცხოვრებაში. ამასთან დეფიციტის მქონე სახელმწიფო უთუოდ ჰკარგავს უცხოელებისაგან კრედიტის ნდობას და ამით თავს საერთაშორისო ეკონომიურ პრესტიჟს ამცირებს. დეფიციტი მჭიდროდ დაკავშირებულია ცხოვრების სიძვირესთან. დეფიციტს მოაქვს ვალეების გადიდება, ფულის დაცემა კურსის საშინელი რყევა – და ყველაზე უარესი და სრულიად გამანადგურებელი ხალხის მეურნეობისათვის – დაუსრულებელი „ემისიების“ - ბონების გამოცემა;

4. ბიუჯეტის ასრულება მტკიცედ უნდა იქნეს დაცული;

5. რესპუბლიკის ბუნებრივი სიმდიდრე: მარგანეცი, ტყე, ქვანახშირი, მადნეულობა, მდინარეების ენერჯია უნდა სასწრაფოდ და გაძლიერებული მასშტაბით დამუშავდეს კონცესიების წესით უცხოეთის კაპიტალით და მათი მონაწილეობით;

6. აუცილებელია სახელმწიფო ბანკის მოქმედების მეტი ინიციატივისა და გამბედაობის გამოჩენა და მისი ჩართვა ვაჭრობა-მრეწველობაში;

7. მომარაგების სამინისტროს გაუქმება და მისი ფუნქციების გადანაწილება სავაჭრო მრეწველობის და საფინანსო სამინისტროსა და სახელმწიფო ბანკს შორის;

8. სახელმწიფო კონტროლის ფაქტიური მოქმედების გაძლიერება;
9. ნამდვილი ღირებულების ფულის დამკვიდრება რესპუბლიკაში;
10. სესხის აღება უცხოეთში სასოფლო მეურნეობის ევროპულ მეთოდზე დასამყარებლად;

11. საეკონომიო სავალი გზა ჩვენთვის გარკვეულია.

ჩვენ გვინდა ვიცხოვროთ იმ წეს-წყობილებით, იმ კანონებით, იმ მიმართულებით, რომლითაც დღეს თავიანთ სახელმწიფოში სცხოვრობს მოწინავე კულტურული ევროპის ხალხები; რაც იქ ცხოვრებაში კიდევ გამოცდილია, რაც შეთვისებულია ხალხის მიერ იმას მივიღებთ! ჩვენ მსარდამხარ გავყვებით ევროპას.

მაგრამ არავითარ ექსპერიმენტებს ეკონომიკაში ჩვენ არ დაუშვებთ“.

მრავალი სასიკეთო ჩანაფიქრის განხორციელება აღარ დასცალდა დამოუკიდებელ საქართველოსა და ერზე მზრუნველ მის სხვადასხვა პოლიტიკურ ძალებს – უკუღმა დატრიალდა საქართველოს ბედის ბორბალი.

კ. აფხაზსა და სხვა ქართველ მამულიშვილებს სამშობლოს განთავისუფლებისათვის ბრძოლის სხვა გზების დასახვა დასჭირდათ.

X X X

ემიგრაციაში იძულებით გამგზავრებამდე ცრტა ხნით ადრე, საგანგებოდ მოწვეულ სოც.-დემოკრატების პარტიულ კონფერენციაზე გამოსვლისას, რესპუბლიკის მთავრობის ხელმძღვანელი ნოე ჟორდანიას პირობას დებდა, რომ უცხოეთის ძალების დახმარებით მოახერხებდა დამხობილი ხელისუფლების აღდგენას. ამისათვის საჭირო იყო ანტიბოლშევიკური მუშაობის გაძლიერება, რათა „შინაგანი აფეთქება მოემზადებინათ“. მართალია, ჟორდანიას ამ მოწოდებას რეალური შედეგი არ მოჰყოლია, მაგრამ არც მთლად უკვალოდ ჩაუვლია... საქართველოში დარჩენილმა ძალებმა იმთავითვე დაიწყეს სააგიტაციო-პროპაგანდისტული და ორგანიზატორული მუშაობა...

აღსანიშნავია, რომ ემიგრაციაში წასულ მთავრობას ასეულობით ქართველი ოფიცერი არ გაჰყოლია. ბრძოლის ველიდან გაქცევა, მათ ლაჩრობის ტოლფასად მიაჩნდათ. სამხედროთა აზრით, ბრძოლა, მართალია, წაგებული იყო, მაგრამ ომი ჯერ კიდევ დამთავრებული არ იყო... მათ შორის, ვინც საქართველოში დარჩა, კოტე აფხაზიც იყო.

საქართველოში დარჩენილმა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებმა 1921 წლის აპრილის დასაწყისში საგანგებო დელეგაცია გააგზავნეს ბოლშევიკური რევკომის\* თავმჯდომარე ფილიპე მახარაძესთან და სადაო საკითხების შეთანხმების გზით მოგვარება სთხოვეს. ამ წინადადებას არავითარი სასიკეთო შედეგი არ მოჰყოლია. პირიქით, იმათი დაუყოვნებლივი დევნა და შევიწროება დაიწყო ვინც ასეთი მოთხოვნის წამოყენება გაბედა. მაშინ ოპოზიციურმა პარტიებმა ერთმანეთს შორის დაიწყეს საერთო ენის გამოსანახავად ზრუნვა იმისათვის, რომ ძალით მოსული ხელისუფლებისათვის საერთო ფრონტით შეეჭათ... მენშევიკურმა პარტიამ აჯანყებისათვის მზადება

მიზანშეწონილად ჩათვალა და მის სახელმძღვანელოდ ცენტრალური კომიტეტი აირჩია 3 წევრისა (სეით დევდარიანი, ისიდორე რამიშვილი, სილიბისტრო ჯიბლაძე) და სამი კანდიდატის (კოტე ანდრონიკაშვილი, ბიჭტორ თევზაია, აკაკი სალუქვაძე) შემადგენლობით. რესპუბლიკის ყველა რეგიონში შექმნეს ადგილობრივი ორგანიზაციები... დიდი როლი ენიჭებოდა – მუშაობის, მოსწავლეთა გამოსვლების, მიტინგებისა და დემონსტრაციების მოწყობას და ა. შ. ყველაფერი ეს მათი ვარაუდით, შეიარაღებულ აჯანყებაში გადაიზრდებოდა და შესაძლებელს გახდიდა დაკარგულის დაბრუნებას... თითქოს ამის პასუხი იყო შეიარაღებული გამოსვლის დაწყება სვანეთში, ცოტა მოგვიანებით ფშავ-ხევსურეთში და ა. შ., რომელთა სათავეში იდგნენ: ქ. ჩოლოყაშვილი, მ. ლაშქარაშვილი, ს. ანდრონიკაშვილი, ს. მათითაიშვილი, თ. მუხამავერია, ბ. პირველი, იშხნელი და სხვ. ისინი მოსვენებას არ აძლევდნენ ადგილობრივ საბჭოთა ორგანოებს, სასტიკად უსწორდებოდნენ რეკომისა და პოლიტორგანოების წარმომადგენლებს. „საბჭოთა ხელისუფლებამ“ ეს ეროვნული მოძრაობა „პოლიტიკურ ბანდიტიზმად“ მონათლა და სასწრაფო ზომების მიღება დაიწყო მასში მონაწილეთა გამოსავლენად და დასასჯელად.

1922 წლის მარტში ქართველი ხალხის დარაზმვისა და საყოველთაო აჯანყებისათვის მოსამზადებლად ჩამოყალიბდა „სამხედრო ცენტრი“.

„სამხედრო ცენტრის“ მიერ შემუშავებული იქნა აჯანყების გეგმა. რომელიც ითვალისწინებდა პირველ გამოსვლას დუშეთში ქ. ჩოლოყაშვილის ხელმძღვანელობით. როცა თბილისიდან მის წინააღმდეგ გაგზავნილი ჯარი ბრძოლაში ჩაებმებოდა, მცხეთის მხრიდან მიხ. ლაშქარაშვილის რაზმები განახორციელებდნენ შეტევას, ეს მტრის რიგებში არეულობას გამოიწვევდა და მისი დამარცხება შედარებით იოლად მოგვარდებოდა. შემდეგ შეერთებული ძალით ქ. ჩოლოყაშვილი და მიხ. ლაშქარაშვილი თბილისზე გაილაშქრებდნენ. იმავედროულად აჯანყებები უნდა დაწყებულიყო გურიაში, სამეგრელოში, ქართლსა და კახეთში.

1922 წლის ზაფხულში შეიქმნა საქართველოს „დამოუკიდებლობის კომიტეტი“ („დამკომი“). რომლის შემადგენლობაში პარიტეტულ საწყისებზე შედიოდნენ: სოც.-დემოკრატების, ეროვნულ-დემოკრატების, სოც.-ფედერალისტების, სოც.-რევოლუციონერების და „სხიველების“ წარმომადგენლები. „დამკომის“ მიზანი იყო, რათა საერთო ძალებით ებრძოლათ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის“.

„დამკომის“ მიერ მიღებულ იქნა ზომები „სამხედრო ცენტრის“ პერიფერიული ორგანოების მოსაწესრიგებლად.

რა თქმა უნდა, მასალების „სათანადო დამუშავებასა და ანალიზში“ ლომის წილი „ცენტრის“ ხელმძღვანელ კ. აფხაზზე მოდიოდა. პროფესიონალის ხელი ატყვია ყველა გეგმას, მაგრამ, ვაი, რომ მათი სისრულეში მოყვანა ვერ მოხერხდა. ამის მიზეზი „იმაში უნდა ვეძებოთ, რომ აღნიშნული ცენტრი მისი არსებობის პირველი ხანებიდანვე წააწყდა მრავალ წინააღმდეგობას პოლიტპარტიებს შორის არსებული შუღლისა და შეურიგებლობის გამო.

ფაქტიურად ყველა პარტია მუშაობდა ცალ-ცალკე თავიანთი ცენტრალური კომიტეტის დირექტივების მიხედვით“.

სოც.-დემოკრატებსა და ეროვნულ-დემოკრატებს შორის დაპირსიპირების მიზეზი, ვ. ბენიძის მართებული შენიშვნით, შემდეგში მდგომარეობდა: აჯანყების გამარჯვების შემთხვევაში სოც.-დემოკრატებს სურდათ ხელისუფლების სათავეში ისევე ძველი მთავრობა და დამფუძნებელი კრება დაბრუნებულიყო. ეროვნულ-დემოკრატების აზრით კი მთავრობა უნდა შემდგარიყო სოციალისტებისა და არასოციალისტური პარტიების თანაბარი წარმომადგენლებისაგან. ამასთან ერთად ისინი წინააღმდეგი იყვნენ დაფუძნებელი კრების ძველი შემადგენლობით მოწვევისა.

შალვა ამირეჯიბის აზრით, „ემიგრაციაში მენშევიკური ხელისუფლების წასვლის შემდეგ, საქართველოს ნაციონალურ წრეებში განსაკუთრებით სამხედრო წრეებში და ნაწილობრივ, თუ სავსებით არა, ეროვნულ-დემოკრატიულ წრეებში, ფეხს იკიდებდა არა დემოკრატიული რესპუბლიკის რესტავრაცია, არამედ ტრადიციული მონარქიული საქართველოს აღდგენა. მათ შეიმუშავეს ფორმულა: „მეფე და ერი!“ ეს იყო კ. აფხაზის, ქ. ჩოლოყაშვილის და დანარჩენ მხედართა აზრიც.

რა თქმა უნდა, ემიგრაციაში წასულ მთავრობას დიდად არ აღაფრთოვანებდა მონარქიის აღდგენის იდეა და ამიტომ დააჩქარა თავისი წარმომადგენლების (ბ. ჩხიკვიშვილი, ნ. ხომერიკის, ვ. ჯუღელი და სხვ.) გამოგზავნა.

ვერც საერთო გაჭირვებამ შეაკავშირა ქვეყნის გადასარჩენად სხვადასხვა პლათფორმაზე მდგარი პოლიტიკური ძალები.

გამომდინარე აქედან, „სამხედრო ცენტრს“ და მის თავმჯდომარეს, გენიალური გეგმაც რომ შეემუშავებინა, პრაქტიკულად მისი განხორციელება მაინც შეუძლებელი იქნებოდა.

მითუმეტეს, მაშინ საყოველთაოდ მიღებული აზრის შესაბამისად: „აფხაზი ის პიროვნება იყო, ვინც სოც.-დემოკრატებისათვის აბსოლუტურად მიუღებლად ითვლებოდა“.

1922 წლის შემოდგომაზე ბოლშევიკური ხელისუფლების მიერ მთელი სისასტიკით ჩახშობილ იქნა ხევსურეთის აჯანყება. საგანგებო კომისი („ჩეკა“) დაუყოვნებლივ შეუდგა მეამბოხეთა დაპატიმრებას. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის არალეგალური კომიტეტი სასწრაფო ზომებს ღებულობს ყველა იმ პირთა გადასარჩენად, რომლებიც „დამნაშავეთა“ სიაში იყო შეტანილი.

კომიტეტი „განსაკუთრებით ზრუნავს თავის მეთაურ კოტე აფხაზის გადარჩენისთვის, რომელზედაც ხმა დადიოდა, რომ იგი საიდუმლო „სამხედრო ცენტრის“ მთავარი მონაწილე იყო. კ. აფხაზი სცხოვრობდა თავის ძველ ბინაზე სოლოლაკში, როდესაც ერთ საღამოს კომიტეტის დავალებით მას ეწვია ამ კომიტეტის დელეგატი.

„- ბატონო კოტე, კომიტეტმა გამოგზავნა გასაფრთხილებლად, რომ „ჩეკა“ დაეძებს საბაბს თქვენს დასაჭერად, რომელიც არ აგცდებათ. რადგან არალეგალურ მდგომარეობაში გადაყვანა თქვენისთანა პიროვნებისა

შეუძლებელია, ამიტომ გადავწყვიტეთ ყველაფრით მოგეხმაროთ და გაგისტუმროთ საზღვარ გარეთ, სადაც თქვენი ცოლშვილი იმყოფება“.

კ. აფხაზს ყურადღებით მოუსმენია ყოველივე და შემდეგ დინჯად უპასუხნია: „დიდად მაღლობელი ვარ კომიტეტისა მზრუნველობისათვის, მაგრამ ჩვენს ქვეყანასა და ხალხს ვერ მივატოვებ ამ მისი ბრძოლის გაჭირვების ხანაში. გარდა ქართულ ძველ ისტორიულ ტრადიციისა, რომელიც ასეთ დროს იშვიათად ატოვებინებდა ქართველ კაცს თავის სამშობლოს, სად გაგონილა, რომ ღენერლები ჯარს ბრძოლის ველზე სტოვებდნენ და გარბოდნენ... მე ვრჩები და დავრჩები ბოლომდე, რათა დავეხმარო საქართველოს მებრძოლ ბანაკს მისი განთავისუფლებისათვის ბრძოლაში“.

ასე, რომ კ. აფხაზს კარგად ჰქონდა გათვალისწინებული ის განსაცდელი, რაც მას მოელოდა. ცხადია, რომ სამშობლოსა და მისი თავისუფლებისათვის ბრძოლას იგი ყველაზე მაღლა აყენებდა და ამიტომაც, წარბშეუხრელად შეხვდა ჯალათთა ბორკილებს.

## X X X

1923 წლის თებერვალში „საოკუპაციო ძალა თავისი აგენტების საშუალებით აღწევს შეთქმულთა ვინაობის მიგნებას, ატუსაღებს მათ...

თითქმის სამი თვე მიმდინარეობდა დაპატიმრებულთა არაადამიანური ტანჯვა-წამება, მაგრამ პირსისხლიანმა მტარვალებმა ვერ შეძლეს მათი სულიერი სიმტკიცის გატეხვა.

აქ მკითხველს მივაწვდით ერთ სისხლიან დოკუმენტს; იგი წარმოადგენს ამონაწერს ამიერკავკასიის და საქართველოს საგანგებო კომისიათა 1923 წლის 19 მაისის გაფართოებული სხდომის ოქმიდან:

თავმჯდომარეობდა ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის თავმჯდომარე ამხ. მოგილევესკი.

ესწრობდნენ: ამხ. პანკრატოვი, ზონოვი, მახნოვესკი, ნიკოლაევი, კვანტალიანი, ბერია, მიქელაძე, ელიავა, ორახელაშვილი და ლომინაძე.

მათ სასამართლო გარჩევის, ანუ გასამართლების გარეშე, დახვრეტა მიუსაჯეს 15 ქართველ ოფიცერს, რაც მეორე დღესვე სისრულეში მოიყვანეს, ქალაქგარეთ, აწინდელი ვაკის პარკის მიდამოებში.

„ყველა ქართველისათვის ცნობილია 1832 წლის ქართველთა შეთქმულების ისტორია, – წერს დ. საღირაშვილი. თვით მეფის რუსეთს არ ჩაუდენია ის სიმხეცე და უღმობელოება შეთქმულთა მიმართ, რაც მოიძოქმედა წითელმა მოსკოვმა. შეთქმულება ჯერ კიდევ არაა მოქმედება, ის განზრახვაა მოქმედებისათვის და განზრახვისათვის სიკვდილით დასჯა ბარბაროსული მმართველობის ჩვეულება იყო ყოველთვის. ბოლშევიზმი სისხლით დაიბადა და სისხლითვე აგრძელებს თავის მახინჯ არსებობას“.

გაზეთი „ზარია ვოსტოკა“ 1923 წლის 23 მაისს თავის პირველ გვერდზე მყვირალა სათაურით: „მენშევიკ-ბანდიტებმა და ეროვნულ-დემოკრატებმა

დამსახურებული სასჯელი მიიღეს მუშურ-გლეხური ხელისუფლების დაღატაკისა და გამცემლობისათვის“. აქვეყნებდა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის საგანგებო კომისიის („ჩეკას“) მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას 15 ქართველი მამულიშვილის სიკვდილით დასჯის შესახებ. ჯალათთა მიერ შეთითხნილ ამ დოკუმენტში დიდის თავმოწონებით იყო აღნიშნული, რომ მარტის დასაწყისში ა/კავკასიის საგანგებო კომისიას („ზაკჩეკას“) აღმოუჩენია დიდი სამხედრო ორგანიზაცია, რომელიც აჯანყებას ამზადებდა საბჭოთა საქართველოს წინააღმდეგ. დაპატიმრებულ იქნა ორგანიზაციის ყველა წევრი, ათეულობით აქტიური მონაწილე. ეროვნულ-დემოკრატიული და მენშევიკური პარტიების ცნობილი მოღვაწენი. მათ მიმართ „ჩეკას“ მიერ გამოტანილ განაჩენში ნათქვამი იყო:

მიესაჯოს უმაღლესი სასჯელი:

1. ანდრონიკაშვილს ალექსანდრე სიმონიეს ძეს, 51 წლის, ყოფილ თავადს, გენერალური შტაბის ყოფილ გენერალს, საქართველოს სამხედრო სკოლის მასწავლებელს. ამ თანამდებობაზე იყო, როდესაც შევიდა „სამხედრო ცენტრის“ შემადგენლობაში და მონაწილეობას იღებდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყების მომზადებაში და საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკაში ბანდიტურ მოძრაობაში.

2. წულუკიძეს ვარდენ გრიგოლის ძეს, 57 წლის. დაამთავრა სამხედრო სასწავლებელი, ყოფილ თავადს, ყოფილ გენერალს. იყო საქართველოს წითელი არმიის მოსაზღვრე ჯარის უფროსი და ამავე დროს ინტერპარტიული კომიტეტის წინადადების თანახმად, შევიდა „სამხედრო ცენტრში“, ფაქტიურად ხელმძღვანელობდა სამხედრო ცენტრის მუშაობას. სამხედრო ცენტრის დასტურით, მუსხელიშვილთან (იგულისხმება როსტომ მუსხელიშვილი, იხ. ქვემოთ გ. ს.) ერთად შეიმუშავა და ინტერპარტიული კომიტეტის საშუალებით დაუგზავნა ადგილობრივ ხალხის იარაღის მობილიზაციის გეგმა, იღებდა და აძლევდა ინტერპარტიულ კომიტეტს საიღუმლო ცნობებს ჩვენი წითელი არმიის მდგომარეობის შესახებ. მონაწილეობას იღებდა საქართველოში ბანდიტური მოძრაობის ხელმძღვანელობაში.

3. ხიმშიაშვილს გიორგი ნიკოლოზის ძეს, 31 წლის. დაამთავრა ნიკოლაევის საკავალერიო სასწავლებელი, ყოფილ აზნაურს, ყოფილ პოლკოვნიკს, საქართველოს ბრიგადის სამოსწავლო ბატალიონის უფროსს. ის იყო საქართველოს წითელ არმიაში, როდესაც მიიღო მენშევიკების წინადადება მათი პარტიის წარმომადგენელი ყოფილიყო სამხედრო ცენტრში. იგი შევიდა „სამხედრო ცენტრში“ და მონაწილეობას იღებდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყების მომზადებაში და საქართველოს საბჭ. სოც. რესპუბლიკაში ბანდიტური მოძრაობის ხელმძღვანელობაში.

4. მუსხელიშვილს როსტომ ილიას ძეს, 35 წლის. ყოფილ აზნაურს, გენერალური შტაბის ყოფილ პოლკოვნიკს, საქართველოს დივიზიის შტაბის უფროსს. იგი იყო ამ თანამდებობაზე, როდესაც შევიდა „სამხედრო ცენტრის“ შემადგენლობაში და მუშაობდა მენშევიკებისა და ნაციონალურ-დემოკრატიების კარნახით, აწვდიდა მათ სამხედრო საიღუმლო ცნობებს და ღუშეთის ამბოხების

დროს რაზმის შტაბის უფროსის თანამდებობაზე კავშირი ჰქონდა ბანდიტებთან და ხელმძღვანელობდა მათ მოქმედებებს.

5. აფხაზს კონსტანტინე ნიკოლოზის ძეს, 55 წლის. უმაღლესი სამხედრო განათლებით, ყოფილ თავადს, ყოფილ გენერალს, ყოფილ მარშალს, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარეს. შევიდა „სამხედრო ცენტრში“ და მონაწილეობდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყების მომზადების ხელმძღვანელობაში. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურ კომიტეტში აჯანყების საკითხის გარჩევის დროს მან, თავისივე ჩვენების თანახმად, ხმა მისცა დაუყოვნებლივ შეიარაღებულ აჯანყებას.

6. ზანდუკელს მიხეილ ნიკოლოზის ძეს, 39 წლის. ყოფილ სამხედრო უმცროსს მოხელეს, ღუშეთის სამაზრო სამხედრო კომისარიატის სამეო ნაწილის გამგეს, მენშევიკური პარტიის ღუშეთის სამაზრო კომიტეტის წევრს. 1922 წელში შეადგინა ორი ბანდა ღუშეთის მაზრაში; კავშირი ჰქონდა მუსხელიშვილთან, რომელიც იმ დროს იყო საექსპედიციო რაზმის შტაბის უფროსი.

7. ბაგრატიონ-მუხრანელს სიმონ ლევანის ძეს, 27 წლის, ყოფილ ოფიცერს, ყოფილ თავადს. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის წინადადებით მუშაობდა გარე-კახეთის რაიონში აჯანყების მოსამზადებლად, ხელმძღვანელობდა მენშევიკების მიერ შედგენილ ბანდას გორის მაზრაში.

8. ყარალაშვილს ფარნაოზ რევაზის ძეს, 24 წლისას, ყოფილ აზნაურს, ყოფილ ოფიცერს, საქართველოს წითელი არმიის I პოლკის უფროსის თანაშემწეს. 1922 წლის სექტემბერში იყო ძეგვის ხიდის მცველი ტყვიის მფრქვეველთა რაზმის უფროსი. კავშირი ჰქონდა ლაშქარაშვილის ბანდასთან; დასთანხმდა ამ ბანდასთან შეერთებას.

9. კერესელიძეს იასონ მათეს ძეს, 32 წლისას, ყოფილ აზნაურს, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრს. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ჯაშუშური მუშაობის მონაწილეს. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წინადადებით კავშირი ჰქონდა ჩოლოყაშვილთან.

10. ქუთათელაძეს ივანე გრიგოლის ძეს, 40 წლისას, ყოფილ აზნაურს, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრს. ამავე პარტიის სამხედრო ორგანიზაციის მონაწილეს. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცენტრ. კომიტეტის წინადადებით ადგენდა ოფიცრების კონტრ-რეკოლუციურ ჯგუფს და ახდენდა ექსპროპრიატორთა ჯგუფის ორგანიზაციას.

11. ჭიაბრიშვილს სიმონ (იგივე ნასყიდა) იაგორის ძეს, 42 წლისას, ვაჭარს, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრს. პროფესიონალურ ბანდიტს, 1922 წელს ღუშეთის მაზრაში მოქმედი ბანდიტური ჯგუფების უაქტიურეს მონაწილეს.

12. მაჭავარიანს ალექსანდრე მიხეილის ძეს, 41 წლისას, ყოფილ აზნაურს, მეფის არმიის ყოფილ პოლკოვნიკს, ქართული წითელი არმიის დივიზიის I პოლკის უფროსის თანაშემწეს; ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სამხედრო

ორგანიზაციის აქტიურ მონაწილეს. ჩოლოყაშვილის ამბოხების პერიოდში წითელ არმიაში მსახურობდა და ამ დროს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცენტრ. კომიტეტის განკარგულებანი გადასცა საექსპედიციო რაზმის შტაბის უფროსს როსტომ მუსხელიშვილს.

13. გულისაშვილი ელიზბარ ზაქარიას ძეს, 32 წლისას, ყოფილ აზნაურს, სამხედრო სკოლის კურსდამთავრებულს, ყოფილ პოლკოვნიკს, მსახურობდა საქართველოს სამხედრო კომისარიატში. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის აქტიურ მონაწილეს. საპასუხისმგებლო ადგილი ეკავა ქართულ წითელ არმიაში; იმავე დროს ცნობები მიჰქონდა ჩოლოყაშვილთან.

14. კლიმიაშვილს ლევან ირაკლის ძეს, 26 წლისას, ყოფილ აზნაურს, ყოფილ ოფიცერს საქართველოს წითელი არმიისას, ინტერპარტიული კომიტეის დავალებით ეწეოდა ჯამუშურ საქმიანობას; აგროვებდა და ჩოლოყაშვილთან გზავნიდა ქართველ ოფიცრებს. ასრულებდა მეკავშირობას „სამხედრო ცენტრის“ წევრებს შორის.

15. ჩრდილელს დიმიტრი ნიკოლოზის ძეს, 29 წლისას, ყოფილ აზნაურს, კადეტთა კორპუსის კურსდამთავრებულს, არტილერიისტს, ქართული წითელი არმიის საარტილერიო დივიზიონის უფროსს, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სამხედრო ორგანიზაციის აქტიურ მონაწილეს. ოფიცერთა ჯგუფის დავალებით „სამხედრო ცენტრს“ მოახსენებდა, რომ მისადმი დაქვემდებარებული დივიზიონი მზად იყო ჩოლოყაშვილის განკარგულებაში გადასაცემად.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილ პირებზე გამოტანილი განაჩენი მოყვანილია სისრულეში!“ ასე მთავრდებოდა „ჩეკას“ მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი.

ემიგრანტი მკვლევარის, თამარ პაპავას, თქმით: „მათ ერის სამსხვერპლოზე თავისი თავი დასდეს... და ეს თავები ისე წარკვეთა მტერმა, რომ კოტე აფხაზს და მის ღირსეულ თანამებრძოლთ ერთი სინანულის ცრემლიც არ გადმოვარდნიათ... არც ერთი ოხვრა!...“

ძველი ღირსებით ჩაემუნენ საქართველოსათვის მებრძოლნი „ძმათა სასაფლაოში“.

ემიგრანტი პროფესორი, ალ. მანველიშვილი, წერს: „წითელი არმიის წინააღმდეგ მიმართულ აჯანყებას მეთაურობდნენ საუკეთესო გენერლები და უმაღლესი ჩინის ოფიცრები... ისინი გაუსამართლებლად დახვრიტეს... სიკვდილის წინაც არ შემდრკალან. მათი საქციელით ჯალათებიც კი აღფრთოვანდნენ. გენერალმა აფხაზმა მოასწრო დამსჯელი რაზმისათვის განეცხადებინა, რომ „მშვიდად ტოვებდა ამ ქვეყანას, რადგან სწამდა სამშობლოს აღორძინება“.

გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, ზურაბ ავალიშვილის, შეფასებით: „მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს ეროვნული შეგნების უმთავრესი გამომხატველის, თავადი ილია ჭავჭავაძის (1837-1907) დისწულმა კონსტ. აფხაზმა, სახელმწიფო საბჭოს არჩეულმა წევრმა, პატიოსნათ და ღირსეულად დაასრულა 1917 წლის აღმოსავლეთ საქართველოს თავადაზნაურობის წინამძღოლთა წრე, რომელიც ასზე მეტი წლის წინათ დაიწყო თავადმა გარსევან ჭავჭავაძემ (1801 წლამდე იყო საქართველოს მეფეთა მინისტრათ



რუსეთის სასახლეში) – 1923 წლის მაისში საბჭოთა ხელისუფლების საწინააღმდეგო შეიარაღებული აჯანყების მოწყობაში ბრალდებული, იგი 15 სხვა სახელოვან მეომართან და მამულიშვილთან ერთად მოკვდა ვაჟაკურის სიკვდილით“.

კ. აფხაზისა და სხვა მამულიშვილთა თავგანწირვა ის კამკაშა ვარსკვლავი იყო, რომელიც 1924 წლის აგვისტოსა და შემდგომ წლებშიც გზას უნათებდა ქართველ ხალხს მის ბრძოლაში ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. იგი ხელს უწყობდა ერის კონსოლიდაციასა და დარაზმულობას სანუკვარი მიზნის მიღწევის გზაზე. „ეს ეროვნული დარაზმულობა ფრიად დიდს მოვლენად მიიჩნევა ჩვენი ერის მდიდარს მატთანში, – წერდა ალ. ასათიანი, ...ჩვენი სამშობლოს ახალმა, დამოუკიდებლობის ხანამ გამოავლინა ისეთი პიროვნებები, რომელთა შორის უბრწყინვალესი, შეუდარებელი ადგილი კოტე აფხაზის პიროვნებას უნდა მივანიჭოთ. კოტე აფხაზი, თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა მარშალი – იყო. ადამიანი, მართლაც დიდი ბუნების, მთელი თავისი არსებით ქართველი“.

ამით გამთავრებთ ერთი უბრწყინვალესი ქართველი მამულიშვილის, „მუდამ მშვიდი, დარბაისელი, ზრდილობიანი და გონიერი ადამიანის“ (ემიგრანტი საზოგადო მოღვაწე რევაზ გაბაშვილი), კოტე აფხაზის სამხედრო, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწის რამდენადმე სრულყოფილი პორტრეტის შექმნას. მიგვაჩნია, რომ წინამდებარე ნაშრომი გარკვეულ დახმარებას გაუწევს ყველას, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობას, ვინც კი საქართველოს გასული საუკუნის ბოლო და ჩვენი საუკუნის 20-იანი წლების პოლიტიკური ისტორიის შესწავლით დაინტერესდება. ქართველ ხალხს დღეს ნამდვილად აქვს იმის შესაძლებლობა, რომ პატივი მიაგოს სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის თავგანწირულთა ნათელ ხსოვნას. კონსტანტინე (კოტე) ნიკოლოზის ძე აფხაზი სწორედ ასეთ დიდბუნებოვან და გამორჩეულ ერისშვილთა რიგს განეკთვნება, ამიტომ მის სახელს დავიწყების ფერფლი ვერასდროს დაფარავს.

გვინდა გავიხსენოთ ემიგრანტი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის, შალვა ამიერჯიბის, მშვენიერი ლექსი, მიძღვნილი კოტე აფხაზის გარდაცვალებისადმი, რომელიც მას 1923 წლის მაისში დაუწერია:

კოტე აფხაზის სიკვდილზე

„...და გენატრება შენ საფლავი სადმე მდელოზედ,  
რომ უდგეს ბუჩქი, ზედ ბილიკი ჩაუდიოდეს,  
რომ კვლავ შეგეძლოს გადმოხედვა საქართველოზედ  
და შენი გული იმის ბედზედ აღარ სჩიოდეს...“

დადგა ჟამი კოტე აფხაზის სახელის უკვდავყოფისა და ეს პატარა წიგნაკიც ამის დასტურად მიგვაჩნია.



ილია ჭავჭავაძე



კოტე აფხაზი მეუღლესთან ელენე იოსელიანთან ერთად



დავით (დათა), გიორგი და კოტე აფხაზები

## განმარტებითი ლექსიკონი \*

**ალა-მაჰმად ხანი** – ირანის ყაქართა ტომების მეთაური, რომელიც შემდეგ გახდა ხანი. ირანელები მისი მეთაურობით შემოიჭრნენ საქართველოში და 1195 წელს გაიმართა კრწანისის ბრძოლა.

**ენვერ ფაშა** – (1881-1922) იყო ოსმალეთის არმიის გენერალი, პოლიტიკური მოღვაწე, ხელმძღვანელობდა ერთ-ერთ ოსმალურ პოლიტიკურ პარტიას „ერთიანობა და პროგრესი“. აქტიური მონაწილეობა მიიღო ე. წ. „ახალგაზრდა თურქების“ 1908 წლის რევოლუციაში. 1913 წელს მონაწილეობდა სახელმწიფო გადატრიალებაში. იგი პანთურქისტულ და პანისლამისტურ პოლიტიკას ატარებდა. პირველი მსოფლიო ომის დროს (1914-1918 წ.წ.) ხელს უწყობდა გერმანია-ოსმალეთის დაახლოებას. ეჭირა ოსმალეთის არმიის მთავარსარდლის მოადგილის თანამდებობა. მისი ხელმძღვანელობით განხორციელდა ამიერკავკასიის ტერიტორიების დაპყრობა. ენვერ-ფაშა 1922 წელს საბჭოთა ჯარის ნაწილებთან გამართულ ბრძოლაში დაიღუპა.

**ვლადიმირის IV და III ხარისხის ორდენები** – წარჩინების ნიშანი. იგი დაწესებულ იქნა XII ს-დან. რუსეთში ორდენები პირველად პეტრე I-მა შემოიღო. ეს იყო წმ. მოციქულის ანდრია პირველწოდებულის ორდენი (1698 წ.)... სამხედროთა დასაჯილდოებლად შემდგომში დაწესებულ იქნა წმ. ალექსანდრე ნეველის, წმ. გიორგის და ბევრი სხვა ორდენი. მათ შორის ერთ-ერთი იყო წმ. ვლადიმირის ორდენი I, II, III და IV.

**რევიკომი** – რევოლუციური კომიტეტი.

**„ჩეკა“** – განსაკუთრებული საგამოძიებო კომიტეტი, რუსული სიტყვების „Чрезвычайный комитет“ დასაწყისისგან არის შედგენილი. ეს ორგანიზაცია დაუნდობლად ებრძოდა საბჭოთა ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილ პირებს.

## გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

- საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი (საქ. ცსსა), ფონდი 214, აწ. 1, საქმე 2819; ფონდი 214, აწ. 1, საქმე 3760; ფონდი 214, აწ. 13, საქმე 3514.
- ქართული პოეზია, თხუთმეტ ტომად, ტ. 6, თბ., 1975.
- ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 5, 7.
- Государственная дума в России. В документах и материалах, М., 1978 г.
- Государственный Совет (1801-1901, С.-Петербург, 1901 г.
- Государственный Совет. Стенограф. отчеты, 1906 г. Сессия первая, Заседание 1-15, С.-Петербург, 1906 г.
- Государственная дума в России (1906-1907), С.-Петербург, 1907 г.
- Энциклопедический словарь, Тов-ва «Бр. А. и И. Гранат и К.» т. 5, 16, 23, 26 М., 1913.
- Энциклопедический словарь, т. 3 и 17, С.-Петербург, 1896, Составители Ф. А. Брокгауз и И. А. Ефрон.
- აბრამიშვილი აინდრო, ჟურნალი „დროშა“, №11, 1962.
- ავალიანი გიორგი, რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო მეგობრობის ისტორიიდან, თბ., 1967.
- ავალიშვილი ზურაბი, საქართველოს დამოუკიდებლობა... პარიზი, 1924, თბ., 1929.
- ბენიძე ვალერი, 1924 წლის აჯანყება საქართველოში, თბ., 1991.
- ბოლქვაძე მალაქია, ილია ჭავჭავაძე რუსეთში (1906-1907), ჟურნალი „განათლება“, №3, 4. 1908.
- გონიკიშვილი მიხეილი, რუსეთში ბაგრატიონების დასახლება და საქმიანობა, თბ., 1986.
- ზალდასტანიშვილი სოლომონ, საქართველოს 1924 წლის ამბოხება, თბ., 1989.
- ზუბაბიშვილი ივანე, წარსულის ანარეკლი, საიუბილეო კრებული „ილია ჭავჭავაძე“ თბ., 1939.
- მეგრელაძე შანშე, ჩვენი სახელოვანი სამხედრო წინაპრები, თბ., 1979.
- ჟურული გიორგი, ილიასთან შორი-ახლოს დგომით, წიგნი: „ილია ემიგრანტის თვალთ“, თბ., 1996.
- რაჭველიშვილი ქრისტინე, ილია ჭავჭავაძე, თბ., 1937.
- საითიძე გელა, სწამდა სამშობლოს აღორძინება (გენერალი კოტე აფხაზი), თბ., 1997.
- საითიძე გელა, ქართული პოლიტიკური აზრი და რუსეთის სახელმწიფო სათათბირო (1905-1917), თბ., 2005.
- საითიძე გელა, ქართველები რუსეთის სახელმწიფო საბჭოში (1801-1917), თბ., 2008.
- ყორანაშვილი გურამი, წიწამურის ტრაგედიის საიდუმლო, თბ., 2004.
- შარაძე გურამი, ილია ჭავჭავაძე, წიგნი I, II თბ., 1990.



- შარაძე გურამი, ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. II, თბ., 2001, გვ. 201-204; 227-229; 242.
- ჭავჭავაძე ილია, თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტ. I, თბ., 1989.
- Джавахишвили Николай, Грузины под Российским флагом, Тб.
- Князь А. М. Эристов, Вопросы экономической и духовной жизни Грузии, Петроград, 1916.
- „დროება“, 1883 წ. №61, 22 მარტი, №64, 25 მარტი, №63, 27 მარტი, №66, 29 მარტი, №69, 5 აპრილი, 1909 წ. №298, 2 დეკემბერი, 1910 წ. №3, იანვარი, №7, 10 იანვარი.
- „ივერია“, 1883 წ. №3, იანვარი, 1887 წ. №259, 10 თებერვალი, №262, 13 თებერვალი, 1892 წ. №41, 23 თებერვალი, №42, 25 თებერვალი, №44, 28 თებერვალი, 1901 წ. №26, 1 თებერვალი, 1905 წ. №42, 1 აპილი, 1905 წ. №54, 15 აპილი, №55, 17 აპილი.
- „იმერეთი“, №20, 1913 წლის 25 იანვარი.
- „ლამპარი“, №1, 1906 წლის 19 აპრილი.
- „სამშობლოს განთავისუფლებისათვის“, №8, მიუნხენი, 1958 წლის აგვისტო.
- „საქართველო“, 1915 წ. №133, 3 ნოემბერი, 1916 წ. №243, 1 ნოემბერი, 1917 წ. №2, 3 იანვარი, №40, 21 თებერვალი.
- „საქართველოს რესპუბლიკა“, 2007 წლის ივლისი.
- „სახალხო გაზეთი“, 1912 წ. №703, 21 სექტემბერი, 1913 წ. №871, 14 აპრილი
- „სახალხო ფურცელი“, 1916 წ. №687, 4 ოქტომბერი, №692, 16 ოქტომბერი, №693, 17 ოქტომბერი, №708, 28 ოქტომბერი, №709, 29 ოქტომბერი, №718, 9 ნოემბერი, №224, , №225, №227, 19 ნოემბერი, №237, 2 დეკემბერი, 1917 წ. №812, 7 მარტი.
- „ფონი“, 1909 წ. №3, 20 სექტემბერი, №4, 27 სექტემბერი, №6, 11 სექტემბერი, №6, 29 ნოემბერი.
- „მრომა“, 1906 წ. №22, №68, 28 ივნისი, №72, 4 ივლისი.
- „ცნობის ფურცელი“, №3023, 1906 წლის მარტი.
- „წყარო“, №3, 1907 წლის 31 ოქტომბერი.
- «Закавказье», №228, 2 ноября, 1907.
- «Кавказ», №100, 1906.
- «Речь», №44, 10 Апрелья, 1906.
- „განათლება“, №3 და 4, 1908 წლის მარტი და აპრილი.
- „განთიადი“, №3-4, 1908 წლის მარტი და აპრილი.
- „მოგზაური“, №24, 1905 წლის 3 ივლისი.
- „სწყემსი“, №11-12, 1906.
- „საისტორიო ვერტიკალები“, №6, 2006.
- «Русский Архив», 1, 1904.

